

# თეატრი და ცხოვრება

1910 სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი № 30

1 აბბ. ფასი 10 კაპ.



ბიუსტი-პორტ. კორინთელის ქალისა.

მარმარილოს ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

## ექ. ვ. დ. ლამბაშიძის

# სანატორიუმი

### პატარა ცემში

ბაკურიანის რკინის გზაზე, 4,400 ფ. სამაღლე

**15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე**

**ორის განყოფილებით, ერთი— საბავშვო, მეორე—დიდებისათვის.**

პირობების გასაგებად წერილით უნდა მიმართონ **ბორჯომით** პატარა ცემს ექიმს **ვახტანგ ლამბაშიძეს.** 10—6

## „ცოდნა“-ს

### წიგნის მაღაზიაში ისყიდება

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| არითმეტიკ. კრებ. ხრამელაშვილის I ნ. | „ | 30 |
| „ „ II ნაწ. | „ | 40 |
| არითმეტიკის სახელმძღვანელო მისივ. | „ | 80 |
| ქართული წერის დედანი მირიანაშვილისა | „ | 40 |
| ნიკ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები დ. კარიჭაშვილის ბიოგრაფიით, ილ. ჭავჭავაძის კრიტ. წერილით და ივ. გომართლის ლექციით. | „ | 40 |
| იმერეთის მეფე სოლომონ, ბ. ხახანაშვილისა | „ | 25 |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | „ | 20 |
| ალექსი, პოემა აკაკისა | „ | 10 |
| სიმღერა აკაკისა | „ | 15 |
| ილ. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები | „ | 15 |
| ბაშიაჩუკი, აკაკისა | „ | 30 |
| სამშობლოსათვის თავდადებულნი | „ | 40 |
| რუსთა დამყარებასა ქართველოში | „ | 20 |
| ათი მოთხრობა, ივანე მაჭავარიანისა | „ | 20 |
| იაპონია, ნ. ნიკოლაძისა | „ | 20 |
| ხალხური ვეფხის ტყაოსანი | „ | 10 |
| დიდი ვეფხის ტყაოსანი მშვენიერის ყდით | 3 | „ |
| კულტურა ლიპერტისა | „ | 50 |
| ყაზბეგის სრული თხუზულება ერთ ტომად | 3 | 50 |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა | 3 | „ |
| ლექსიკონი ქართულ-რუსული ბაღაშვილისა | „ | 50 |
| ლექსიკონი ქართულ-რუსული ყიფიანისა | „ | 50 |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული სახოკისა | „ | 20 |
| ჩუბინაშვილისა რუსულ-ქართული | 2 | 40 |
| დამონებულნი (ბოლგ. განთავ | 1 | „ |
| ქართველთა ტომი, სურათ. ალბ. | 3 | „ |
| აღდგომა, ტოლსტოისა | 1 | 20 |
| საქართველოს გეოგრაფია, ვახუშტისა | 2 | „ |
| სერგეი მესხის თხზულება | 1 | „ |
| მამია გურიელის თხზულება | 1 | „ |
| აკაკი წერეთლის თხზულება I და II ტომი | 2 | „ |
| თავ-გადასავალი, მისივე | 1 | „ |
| რაფიელ ერისთავის თხზულება | 1 | „ |
| ი. ევდოშვილის თხზულება | „ | 60 |
| სამზარეულო ქართული საჭმელებისა | 1 | 50 |
| ლალატი ა. სუმბათაშვილისა დასურათებული | 1 | 25 |
| ქვათა ღაღადი და სომეხთა მეცნიერნი ილია ჭავჭავაძისა | „ | 30 |
| ზღაპრები დასურათებული ყდით I ტომი | 1 | 25 |
| ზღაპრები ტომი მეორე, | 1 | 30 |
| შილლერის პოეზია ივ. გომართლისა | „ | 20 |
| ფშაური ლექსები | „ | 40 |
| ნაძირალნი, მაქ. გორკისა | „ | 25 |
| ბუნება და ცხოვრება, ი. ალხაზიშვილისა | „ | 60 |

აქვე ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები

---

მსურველთ დაუყოვნებლივ გაეგზვანება ფას დადებით ფოსტით. თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე**

2—1

# თეატრი და ცხოვრება

## № 30

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან Тифлисъ. Редакція „Театри да Цховреба“ Іос. Зах. Имедашвили

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. —რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს.

ტელეფონი № 862

**№ 30** ‍ ‍ ‍ კ ვ ი რ ა, 1 ა გ ვ ი ს ტ ო ‍ ‍ ‍ **1910**


### 1 აგვისტო, 1910 წ.

**სამსხვერპლო** დიდი ხანია ჩვენი ხალხი წესიერ **და ქ უ რ უ მ ი.** სწავლა-აღზრდის ნიადაგს მოსწყდა; სახელმწიფოებრივმა და ქონებრივმა პირობეებმა მშობლიური, და მაშასადამე ბუნებრივიც,—ნიადაგი გამოგვაცალეს... თუ შორეულ წარსულში რაიმე კულტურული დაწესებულება მოგვეპოებოდა, ჟამთავითარებამ მოგვისპო, გაგვინადგურა... დაგვრჩა ერთადერთი თეატრი, ჩვენის დროის შენაძენი, ცოცხალი სიტყვის მქადაგებელი, სულისა და გულის განმასპეტაკებელი.

მაგრამ თეატრი იმ სახით, როგორათაც ახლა ვხედავთ, ბევრს ვერც სხვას არგებს და ვერც თვით აჰყვავდება...

თეატრია წმინდა სამსხვერპლო ადამიანთა სულის სწრაფვათა და თუ ეს სამსხვერპლო უჭუჭყოდ არ იქნება დაცული, თუ ქურუმი უმწიკვლო არ ეყოლება, მისი მნიშვნელობაც მოისპობა... თეატრის სულის ჩამდგმელია ნიჭიერი ქურუმი, თავის საქმის უაღრესად მცოდნე მსახიობი და მისგან წარმოსადგენი ნაწარმოები: თუ ერთი ან მეორე სუსტია, მაყურებელს შემოიფრთხობს...

ვიცით, ფრიად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ქართული სცენის მუშაკს, მაგრამ რავდენად მძიმეა პირობანი, იმდენად უფრო უნდა გასალკლდევდეს მშრომელის უნარიც... კარგად უნდა იცოდეს ქართველმა მსახიობმა, რომ იგი უდიდეს ეროვნულ-კულტურულ საქმეს ემსახურება და ისტორიის წინაშე პასუხის მგებელია.

ამიტომაც აღარ გამოდგება უჯერ-მაჯერო მუშაობა, სიზარმაცე, ლოთობანობა, ორი ღმერთის თაყვანება—არტისტობა და იმავე დროს სხვა კერძო სამსახურში სირბილი: არტისტი მხოლოდ არიტისტი უნდა იყოს...

ჩვეულებრივს წუწუნსა და ჩივილს საზოგადოებაში—მშივრები ვართ, გვაჭამეთო,—ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს,—ბატონებო, შექმენით საქმე, სპეტაკის მუშაობით თეატრის დანიშნულებაც გაასპეტაკეთ, სამსხვერპლო თქვენი უმწიკვლოთ დაიცევით, მსხვერპლი უზაკველოთ შესწირეთ და შრომა თქვენი უქმად არ ჩაივლის: მერწმუნეთ, მოიმკით ნაყოფსა კეთილს...

### ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე

სამშობლოს ჰაერს კვლავ მოკლებული,
გაველ ქუჩაში, დაღონებული,
რომ სეირნობით გამერთო თავი,
მაგრამ რა ვნახე, გარს ირეოდა
ხალხი, რომლისაც არ-რა მესმოდა,
უფრო გაცხოვლდა ნაღველი, მწვავი,
და აღარ ვიცი, საით წაველი;
მხოლოდ გონს მარტო მაშინ მოველი,
რომ დავინახე ჩემ წინ საფლავი:
ხეტიალის დროს თურმე მაღლობზე
მყოფ მიტოვებულ სასაფლაოზე
მოულოდნელად ავსულვიყავი!
ქალაქში ხალხი კვლავ ფუსფუსებდა,
აქ-კი დუმილი, ტკბილი, სუფევდა
და მიმიწევდა დასასვენებლად:
შემოხვეული გარს საფლავები,
თითქო იყვნენო ჩემიანები, | ობლად!
ახლა თავს სულაც არ ვგრძნობდი
შფოთავ-ღელავდა ქვევით სიცოცხლე,
მოჩვენებული, სუსტი, დღე-მოკლე,
აქ-კი სიკვდილის იყო მეფობა;
იქ იყო აწმყო, გარდამავალი,
აქ-კი წარსული და მომავალი,
იქ წუთი, აქ კი... მარადისობა!
და მეც ცოცხალი, თუ იქ ცოცხლებსა,
ვით უცხო ქვეყნის უცხო შვილებსა,
შორს გავურბოდი, აღშფოთებული
აქ, მომაკვდავი, უცხოვე მკვდრებთან,
თითქო დიდი ხნის ჩემ მეგობრებთან,
ვიჯექ სიამით, დამშვიდებული!..

3195

## ჩემი შენიშვნები

(მე-5-ე წერილის დასასრული იხ. № 29)

იმასაც ამბობენ: ბევრჯელ იყო ჩვენში ამხანაგობა. დასი თვით მსახიობთა ამხანაგობის იყო, მაგრამ მაინც ვერ იხეირაო. არც რეპერტუარი იყო კარგი, მუშაობაც არეულ-ჩარეული და სხვა და სხვა.

მართალია. სამწუხაროდ ეს დიდი „კოზირი" უჭირავთ ამხ-თა მოწინააღმდეგეთ, მაგრამ რად ავიწყდებათ ნივთიერი მხარე საქმისა. ამხანაგობას ეგ არევ-დარევს ხოლმე, როდესაც ნივთიერად არ არიან უზრუნველ-ყოფილნი. ამიტომაც მიიზიდება ჩვენი მსახიობი კერძო თუ დრ. საზ-თა ანტრეპრიზისაკენ. მაგრამ ეს მიზეზი სრულიადაც ვერ აქარწყლებს ამხანაგობის პრინციპის უაღრესობას.

თქვენ ისა სთქვით, ამხანაგობა ისე როგორ მოეწყოს, რომ თავით თვისით, უანტრეპრენიოროდ იყოს უზრუნველ-ყოფილი, თორემ საქმის წარმოება უფრო სამართლიანი და უფრო ცოცხალი რომ იქნება, ეს უეჭველია.

მგონი თავი მოვაბეზრე კიდეც მკითხველ საზოგადოებას ანტრეპრიზის ნაკლთა აღნუსხვით, ასე რომ იმათ ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგები, მხოლოდ აქვე დავასახელებ კიდევ ერთ მიზეზს, რომელიც მოჰყავთ ხოლმე ამხანაგობის წინააღმდეგ.

ეს არის ამხანაგობის დროს მსახიობთა შეუთანხმებლობა. ყველანი ბატონები არიან და დისციპლინის დაცვა არა ხერხდებაო. ეს მეორე მიზეზი, რომ ჩვენი მსახიობი დღეს-დღეობით ისევ ანტრეპრიზას რჩეობს. ჯერ კიდევ თითქო ძალიანა გვწამს: „შიში შეიქმს სიყვარულსაო" და იმიტომ არის, რომ თავს ვიხრით მზრუნველებისა და გამდლების წინაშე. მაგრამ ეს მიზეზიც უკვე გარდასრულია, ხანმოჭმული

მართალია, ეს ძველ თაობას სჭირდა სენად. ერთი მეორესთან ვერ თავსდებოდენ. მაგრამ აბა რად არ უნდა გავიგოთ, რომ დესპოტმსახიობთა ხანა გადავიდა და ახლა მხოლოდ კოლექტიურ შრომას მოითხოვს ჩვენი სცენა. რომ ახლა მართლა ერთობის დროა და ეს ტყუილი სიტყვა კი არ არის, ამას თვითონ საქმე თხოულობს. რომ ახლანდელ მსმენელ-მაყურებელს ერთი და ორი მსახიობი კი ვერ აკმაყოფილებს, არამედ მთელ ჯგუფთა ხელოვნური შემოქმედება, მთლიანი სურათი, მწყობრი წარმოდგენა, რომ საზოგადოება ერთისა და ორისათვის კი არ უნდა მოდიოდეს (აკი არ მოდის კიდეც), არამედ საერთო, კარგი წარმოდგენისათვის.

ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ბატონებიც ისპობიან და ყველანი ერთნი არიან დიდი ღმერთის მელპომენის წინაშე. უბრალო მსახურის როლის აღმასრულებელი და უმთავრეს გმირის გამსახიერებელიც. მაშასადამე მათი ამხანაგობაც შესაძლებელია და მოსახერხებელი.

მაგრამ რად მივდივართ შორს? მე ვიცი ახალგაზდათა ამხანაგობანი. იმათ არ სჭირდათ სენი ბატონობისა. ყველანი ერთნი იყვნენ და ერთი საქმის, შეძლების და გვარად, ერთგული მოსამსახურენი. ასე, რომ თუ კი ცუდ ამხ-თა მაგალითი ბევრი გვაქვს, გვაქვს აგრედვე რიგიანი ამხანაგობის მაგალითებიც. მაშასადამე აქ შეუძლებელი და საოცნებო არაფერია.

ეს კია—ამ ამხანაგობათა უზრუნველყოფას უნდა მოწესრიგება. ეს მიუცილებელია.

ამისდა საშველად, სხვათა შორის, შარშან ერთი საღსარი დავასახელე „დროების" ფურცლებზე. ეს იყო ხელის მოწერის გამართვა მაყურებელ საზოგადოებაში. აბონემენტი.

ნუ შეგვაშინებს ეს გაცვეთილი სიტყვა, რომლის განხორციელებასაც ჩვენი თეატრისათვის აქამდის არაფერი სიკეთე არ მოუტანია, მაგრამ ეგ მართლაც იმიტომ, რომ ერთი—მეტად ძვირი ფასისა იყო აგეთი აბონემენტი და მეორე—იძულებითი, რადგან უფრო ხშირად ვრცელდებოდა იმ ელემენტთა შორის, რომელიც აგრე რიგად არ დადის ხოლმე ართულ თეატრში. მხოლოდ ჩემი განზრახვით ეს ბონემენტი არ იქმნებოდა ძველის გვარი ე. ი. **ძვირი და იძულებითი.** პირველი იმიტომ, რომ იმას სარჩულად ედებოდა დემოკრატიზაცია ბილეთის ფასისა და მეორე-კი იმიტომ, რომ სწორედ ის ელემენტი შემოეყვანა ჩვენს თეატრში, რომელიც აგრე რიგად ხშირად აწვება მის კარებს და ფასის სიძვირის და იაფ-ფასიან ადგილთა სიმცირის გამო შიგ ვერ შედის.

მაშასადამე საქმეც გაჩაღდებოდა, უკეთუ ბილეთის ფასი მცირე იქმნებოდა.*) მცირე გადასახადი კი ხომ ყველასათვის სელ-მისაწდომია. საქმეს მხოლოდ თაოსნობა უნდა და გამოწყობა.

*) როგორც მაშინ ვამბობდი, ფასის განსაზღვრა დამოკიდებულია თეატრის შენობაზე, მის სიდიდეზე. მე-კი მაშინ ქუთაისის თეატრი მქონდა აღებული და იმის კვალობაზე მქონდა ფასი ნაანგარიშევი. იხ. შარშანდელ ივლისის „დროების" №№ ჩემი წერილებო: „სათეატრო შენიშვნები და სურვილები", წერ. 1.

შ. დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ და ისევ თვით ხალხი უნდა ასაზრდოებდეს თავის კულტურულ საქმეებს და, სხვათა შორის, თეატრსაც და თუ დღევანდელ პირობებში რაიმე რაციონალურ საშუალების აღმოჩენა შეგვიძლია, არ უნდა დავიხიოთ უკან. ისე კი, რომ თეატრის ნამდვილ განახლებას თვით ცხოვრების განახლება შეიქმს, ეს ვინ არ იცის. მაგრამ თუ დღეს-დღეობითაც მოგვიხერხდება ისეთი რამ ღონე ვიძიოთ, რომ დავუახლოვოთ უდიდესს პრინციპს ხალხის შემოქმედებისა და ამხანაგობით საქმის წაყვანისას, ამას რაღა ემჯობინება.

ამიტომაც მე მგონია დღეს-დღებით ერთი მხრით თვით მსახიობნი უნდა შეერთდენ და ამხანაგობით გაუძღვენ თავიანთ საქმეს, მეორეს მხრით კი გაიმართოს, ვთქვათ, ორშაურიანი, წინდაწინი ხელის მოწერა და შემოკრბეს ის ფული, რომელიც საშუალოდ მაინც დააკმაყოფილებს დასის შენახვას, წარმოდგენების მორთვა-მოკაზმას, შენობის დაქირავებას და სხვას. ერთის სიტყვით, მთელს ხარჯს საქმისას და ამითი თუ სოფელი მთლად არ აშენდება, დაქცევით მაინც ისე ადვილად არ დაიქცევა, როგორც ეს ზოგჯერ მომხდარა. **შალვა დადიანი**



**კნუტ ჰამსუნი**

დაბადებიდან 50 წ. შესრულების გამო

(იხ. „თ. და ც." № 15, 16, 17)

# გამოძახილი

(ს. აბაშელს)

გინდა გაიგო: რად ელვარებს მზე სხივ-დიადი,
ოდეს მიდამოს ირგვლივ ჰბურავს შავი წყვდიადი?
თავი ანებე... კანონია... წესი ბუნების...
მაგვარი კითხვა ნაყოფია მსუბუქ ოცნების.
მიზეზთ სათავე აქ ეძიე, აქ, ჩვენს მიწაზე
და, რაცა ჰპოვო, რაც შენიშნო ცხოვრების ზღვაზე,—
დაჰმღერე ჩანგზე!

საგაზაფხულო შეიყვარე ჰანგი ციური,
მასში ჩაქსოვე სულის სწრაფვა ტიტანიური,
ჩამოჰკარ სიმებს, ააჟღერე ხმა მიწიური
და მით ჩაახშე ყრუ ხარხარი, დემონიური.
იმედის ჰიმნი ფრთას შეაჰკრის უიმედობას,
შემდეგ, მერწმუნე, აღარ იგრძნობ სულის ობლობას,—
დაგიტკბობს გრძნობას!

მრწამს, რომ ცხოვრება მიგვაქანებს უფსკრულისაკენ,
მაგრამ სძლიე ის, მხნედ გასწიე სიცოცხლისაკენ,
ამ სიმწუხრეში გამოსჭედე შენ შენი ბედი
და წინ დევიზათ წაიმძღვარე ბრძოლა... იმედი.
სხივი შესტყორცნე, სხივი ზეცას, ნისლით დაბურვილს,
მაშინ ფართო გზა მიეცემა დიადსა წყურვილს,—
მიაღწევ სურვილს!

**ნ. ჩხიკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოთამაშე ქათმები

ლეჩხუმიდან სვანეთში, ან სვანეთიდან ლეჩხუმში გადამსვლელმა, უთუოდ ლათფარის მთა უნდა გადაიაროს, ისე არ შეიძლება, და ისიც შუაგულ ზაფხულში, თვარა სხვა დროს გზა ყოველთვის შეკრულია. მწვერვალი ლათფარის უნაყოფოა. ზედ მხოლოდ ლიხი—ბალახი ამოდის, სხვა არაფერი. და ეს ბალახი კი ხშირია და ნავარგი.—ერთხელ სწორედ ამ წვერვალზე შემომაღამდა და დავრჩი იქ ბალახებში ღამის გასათევად. თუმცა დაღალული ვიყავ, მაგრამ რული არ მომკიდებია მთელს ღამეს: ქათმების კაკანმა არ მომასვენა.

— აჩი (არჩილ),—დავეკითხე ჩემ თანამოგზაურს სვანს,—ამ ქათმებს რა უნდათ, რომ აქ მოუყრიათ თავი და კაკანობენ?—

— ეს ქათმები შინაური ქათმები როდი გახლავან! გარეული ქათმებია! ახლა დროა მაგათი ბუდობის და მოუსვენარობენ.

— სწორედ ქათმები კი არიან?

— გარეული!.. დედალი ცისფერია და ლამაზი. მამალი ყველა შავი და უშნო. ტანადაც ცოტა ნაკლე არიან შინაურზე, თვარა სხვებ არ გაირჩევიან ქათმებისაგან.

— მოშინაურებული არავისა ჰყავს? არავის უსინჯავს?

— მაგას ვინ გამოუდგებოდა? ვინ იცოდვილებდა? მგონი, რომ ძნელი მოსაშენებელიც უნდა იყოს!.... წელიწადში ერთხელ იცის ბუდობა და დიდის არჩევნით.

- როგორ თუ არჩევნით?

— შინაური ქათმები უნამუსოები არიან: მამალს იმდენი დედალი ჰყავს რამდენსაც გასწვდება! და ამ ქათმებმა-კი ცოლ-ქრმობა იციან, აირჩევენ ერთმანეთს დედალი და მამალი და სხვას აღარ იკარებენ, მარტოდ იკეთებენ ბუდეს თავისთვის, რომ წიწილები გამოჩეკონ. ნიშნობაც სამაგალითო იციან...

— ნიშნობა?! და შენ რა იცი მერე?

— მიყურებია!...

გამოვლენ მზის გულში ბალახებიდან, კვერცხი რომ მოუნდებათ, დასხდებიან ირგვლივ; გააკეთებენ წრეს, შუაში დატოვებენ ცარიელ ადგილს, გამოვლენ მამლები, ჩამოუშვებენ ფრთებს და დაიწყებენ ცეკვას და მანამდი იქანცებიან თამაშით, სანამდი დედალი რომელიმე არ მივა და არ წაიყვანს, როგორც არჩეულ საქრმოს. და ასე ამ გვარად დაირიგებენ ხოლმე თითო-თითოდ!.. ეს ნიშნობა ახალ ზაფხულის პირზე იციან და მერე კიდეც იბუდებენ ხოლმე ამ ბალახში. სვანეთიდან ხშირად გადავდივარ ხოლმე მეც ლეჩხუმში, და მე ბევრჯელ შევხვედრივარ ამ ამბავს.—

ეს, სვანის ნაამბობი, სრულიად არ გამკვირებია მე, მაგრამ დაფიქრებით კი ძალიან დამაფიქრა: ბუნებას ისე მოუწესრიგებია, რომ ყოველი ცხოველი, ყოველი პირუტყვი, ოთხფეხია, ფრინველი, თუ მწერი, ყველა, როცა დრო მოუათ, მამლები თავს აწონებენ დედლებს, რითაც კი შეუძლიათ, მაგალითად: ვეფხები და ლომები მამლები ებრძვიან ერთმანეთს, დედალი უყურებს, უცდის და რომელიც გაიმარჯვებს, იმას დანებდება. მამალი ბულბული რომ მღერის, ის მაშინ დედალს თავს აწონებს, ციცინათელ ჰკაფობს და სხვანი. აფრიკაში, თუ ამერიკაში არის თურმე ერთგვარი ქათამი, მომთამაშე: მათი უშნო მამალი ცეკვით აწონებს თავს დედალს და იტაცებს მისს გულს.—ცხადია, რომ ლათფარის ქათმებიც ამ ჯიშის უნდა იყონ. მაგრამ საფიქრებელი ის არის: ადგილობრივი არიან ის ქათმები, თუ მხოლოდ ზაფხულობით მოჰფრინდებიან ხოლმე გარეშე ქვეყნებიდინ?

დღეს სვანეთში და უფრო ლეჩხუმში არიან ინტელიგენტები და არ იქნება ურიგო, რომ ამას ყურადღება მიაქციონ.. გამოიკვლიონ!—მართალია, ეს გამოკვლევა მათ მატერიალურად ვერას შესძენს, ვერც რამე ხარისხს მიანიჭებს, მაგრამ მაინც უნაყოფოდ არ ჩაივლის.



## ნ ა ვ რ ძ ნ ო ბ ი

ნუ, ნუ დარჩება ქვა ქვაზედა ბილწ სამყაროში,
დაიხშოს აზრი გონებისა ცივს სალაროში;

* *
*

ძალთა-ძალობა უხილავის ძალის ხელშია,
ვერ ნახოს კაცმა ნეტარება სიცოცხლეშია...

**კიკნა-ფშაველა**

# ვინ ვინ მოჰკლა?!

ჩვენის ცხოვრების ზედაპირი შეირყა და საზარელი სურათი გადაგვიშალა თვალწინ...

მოხდა შემაზრზენი დრამა.

არაკი ამ დრამისა ასეთია: ბურჟუაზიული წრის წარმომადგენელმა, ხელობით ექიმმა, დიპლომით ინტელიგენტმა, ცოლ-შვილის პატრონმა ორი-სამი წლის წინად შეიჩვია და შეაცდინა სრულიად გამოუცდელი, უსწავლელი 12—13 წლის გოგონა,—შეაცდინა და მასთან ხლება არც შემდეგ მოიშალა...

სამი წელიწადი გავიდა. ქალი ვიღაც ფერშალმა—მცირე განათლებისა, განუვითარებელმა ყმაწვილმა შეირთო: აქ დაიწყო ცოლქმართა სულიერი დრამა... მაგრამ ქმარმა თავისი გაიტანა, შეიტყო ვინც იყო მისი ცოლის პირველი გამაუპატიურებელი და შურიც იძია: მიტყუებით აჰკუწა ექიმი... ბრალდებულნი შეიპყრეს და სამართალში მისცეს...

სასამართლო თავის განაჩენს გამოიტანს, —ბრალდებულთ უწყებულ სასჯელს გადუწყვეტს და... ამითი გათავდება ყველაფერი, ცხოვრების ჩარხი ჩვეულებრივ დაიწყებს ტრიალს, და ჩვენი დროის ზნეობის მოტრფიალე „საზოგადოებაც“ გულს დაიმშვიდებს: მართალია მოჰკლეს, მაგრამ მკვლელნი ხომ დასაჯესო...

ეს არის და ეს...

და ეჭვიც არავის დაებადება, რომ ყოველი ასეთი მოვლენა დღევანდელ უწესრიგო საზოგადოებრივ ცხოვრებაში—სამწუხაროდ და სავალალოდ—არც პირველია და არც უკანასკნელი... რომ დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა, სწავლა-აღზრდის შეუფერებელი წესი, ერთის მხრივ ბურჟუაზიის წრეს-გასულობა, მის-მიერ შექმნილი ზნეობრივ-უფლებრივი კანონები, ხოლო მეორეს მხრივ—ქონებრივი სივიწროვე, გონებრივი სიბნელე და ზნეობრივი სიკოტრე უნოყიერესი ნიადაგია ასეთის ავაზაკობისა...

დღევანდელი ცრუ-საზოგადოებრივი ურთიერთობა და წყობილება ილესავს დანას, თვითონვე ყელს ილადრის და მიზეზს კერძო მკვლელობაში ეძიებს...

მიმოიხედეთ ქალაქთა განაპირა ჯურღმულებში, თვალი გადაავლეთ ქუჩას, დააკვირდით დიპლომით შემოსილ „ინტელიგენტურ“ და არა ინტელიგენტურ ბურჟუაზიის დიდი უმეტესობის სულთა სწრაფვას და მერე ბრძანეთ—ნუ თუ მისგან სხვა სიკეთეს უნდა გამოველოდეთ?!.

ადამიანის ადამიანურად ცხოვრებისთვის მხოლოდ შექმნა და წარმოშობა არა კმარა, მოქალაქეობრივ-კულტურულ ცხოვრებისთვის მარტოოდენ ფორმალურად დიპლომით აღჭურვა არას გვიშველის,—საჭიროა სულ სხვა, ცხოვრების პირობათა შეცვლა, სწავლა-აღზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ ნიადაგზე გარდაქმნა, რომ სქესთა, წოდებათა, კლასთა ურთიერთობრივი დამოკიდებულება წესიერ კალაპოტში ჩადგეს, მოისპოს ურთიერთის მოპირისპირობა და მტრობა... მოისპოს ყველა ის მოვლენაც, ჟამისჟამად რომ შეაშფოთებს ხოლმე გარეგნულად ზნეობრიობისა და წესიერებაზომიერების მოყვარე საზოგადოებას...

გუშინ-გუშინწინ დიპლომით შემოსილმა, განათლებულმა მეოჯახე კაცმა დაიბრიყვა სუსტი არსება—საცოდავი ქალი და თავის პირუტყვულ ჟინს უმსხვერპლა, რისთვისაც სიკვდილი დაიმსახურა, და რა გგონიათ, დღეს ზოგიერთი მისი კოლეგები, ანუ სხვა ბანაკის ბურჟუანი—დიპლომიანი მეოჯახენი, კეთილ-შობილი საზოგადოების დედაბურჯად აღიარებულნი, მზგავს საზიზღრობას, ანუ უარესს არ სჩადიან!?.

გუშინ-გუშინწინ, შეიძლება დეგენერატმა, სულიერად შერყეულმა, სუსტი არსება მიიამხანაგა—შეირთო, ცოლქმრობაში დღე ჩაამწარა, მისი სხეულითა და სულით ივაჭრა, შემდეგ კაცის კვლაშიაც გაიამხანაგა და...

დღეს ნუ თუ ასეთი არაფერი ხდება?! თვალი მიმოავლეთ ჩვენის დროის სქესობრივ თავაღსნილობას,—ხოლო არა ზნეობრივ თავისუფლებას,—და უთვალავ მაგალითს იპოვით, მრავალ ავაზაკობათა საფუძველს...

ჩვენ ის გვაშფოთებს, რაიცა ძილს გვიბრთხობს და აშკარად თვალში გვეჩხირება.

მოკლულიცა და მკვლელნიც ცხოვრების უკულმართობისა და უწესრიგობის მსხვერპლნი არიან: ვიდრე მათ გაასამართლებდენ, უნდა გასამართლებულ იქმნეს მთელი მათი წარმომშობი საზოგადოებრივი წყობილება, პირობანი და მიზეზნი...

მაშინ ვნახავთ, დამნაშავის სკამზე ვინ ჩამოჯდება, მაშინ დავინახავთ—ვინ ვინ მოჰკლა?..

მოსპეთ, შესცვალეთ მთელი არსებული უწესრიგო საზოგადოებრივი ურთიერთობა და მისი შედეგიც—ადამიანთა აღმაშფოთებელი მვლენანიც—თავისთავად გაჰქრება!.. ი—ი

## დასავლეთ ევროპის ლიტერატურა

## 1848 წლის რევოლიუციის მეორე დღე

### (ვ. მ. ფ რ ი ჩ ე)

### I

1848 წელს მთელი ევროპა რევოლიუციონურმა ქარიშხალმა მოიცვა. ეს ქარიშხალი დაიწყო ინგლისში ჩარტისტების მოძრაობით, თებერვალში საფრანგეთს მოედო, ხოლო მარტში გერმანიასაც გადააფარა თავისი მძლავრი ხელი. გაისმა თუ არა რევოლიუციის პირველი გრგვინვა, იგი, როგორც ელექტრონის ნაპერწკალი, მოხვდა დემოკრატიულ ინტელიგენციის გულს. გეგონებოდათ ბოლო ელება მტარვალობასა— ეკონომიურს, პოლიტიკურსა და სულიერსა. ამ მოძრაობის ერთი მონაწილეთაგანი სწერს: „ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ქვეყნად თენდებოდა თავისუფლების მოწმენდილი, ულრუბლო დღე და ის ბნელი, რომელიც ახლა უკან დავიტოვეთ, არასოდეს არ დაგვიბრუნდებოდა“

მაგრამ ეს იმედები გაქარწყლდენ.

რევოლიუცია გასრესილ იქმნა. პროლეტარიატი და მდაბიო მოქალაქენი დამარცხდენ. დანგრეულ ბარიკადებსა და თოფით დახვრეტილ უბნებში მთავრობის შტიკებსა და ზარბაზნებზე დაყრდნობილმა ბურჟუაზიამა და თავად-აზნაურობამ აღმართა თავისი სამეფო ტახტი.

კალიფორნიასა და ავსტრალიაში ოქროს აღმოჩენამ წარმოება კვლავ მშვენიერ ყვავილად გადაფურჩქნა. ინგლისთან ერთად კაპიტალიზმმა მორევში ჩაითრია საფრანგეთი და გერმანია. 1857 წელს ლონდონში გაიმართა პირველი მსოფლიო გამოფენა და ეს გამოფენა კაპიტალიზმის შეურყეველი ძლიერებისა და ზღაპრულ სიმდიდრის სიმბოლო იყო. მუშათა სოციალიზმი სისხლით დაიცალა ბარიკადებზე; მას სული ამოართვეს საზიზღარ ციხეებში; იგი დახვრიტეს სამხედრო-საველე სასამართლოებში. ინგლისელი მუშები მშვიდობიან პროფესიონალიზმის გზას დაადგენ და თავის ბედი მებატონე კლასებს ჩააბარეს—მიანდეს. საფრანგეთის პროლეტარიატმა მიანება თავი პოლიტიკას, მიეცა ინდეფერენტიზმსა და ალკოჰოლს; ხოლო ამ პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები პრუდონთან ერთად დამოუკიდებელ წვრილ მესაკუთრეებზე ოცნებობდენ (იხ. ზოლას რომანი „მახე“). გერმანიაში მუშათა სოციალისტური წრეები და კომუნისტთა კავშირები გაფანტულ იქმნენ, გონება-არეული მუშები წარმოებითს ასოციაციებზე ოცნებობდენ. ყველგან დამდორებული სიჩუმე იყო!

შავ-ბნელი წყვდიადი ინტელიგენციასაც დასტრიალებდა თავს.

თუ ერთი დღის წინად იგი შრომის თავისუფლებისათვის იბრძოდა მიტინგებსა და ბარიკადებზე, ახლა ზომიერება და წესიერება შეეყარა მის სულს. 1848 წლის შემდეგ რევოლიუციონერ-ბურჟუას ტიპი იშვიათი მოვლენა გახდა დასავლეთ ევროპაში. იგი ისევე ძნელი საშოვარი იყო, როგორც თეთრი ყორანი.

მართალია ინგლისის ინტელიგენცია არც წინად იყო ცნობილი რევოლიუციონერად. ახლა-კი იგი ფეხქვეშ დაეგო კარლეილს, რომელმაც ინტელიგენციას შესთავაზა ჩარტიზმის შესახებ პამფლეტი, რომელშიაც იგი რისხავდა პროლეტარიატის მისწრაფებას პოლიტიკურ უფლებისადმი. ინგლისის ინტელიგენციის ერთი ნაწილი შეუერთდა „ქრისტიან სოციალისტებს“ და კლასთა თანამშრომლობასა და კოოპერატივების მხსნელ მნიშვნელობას ქადაგებდა.

უფრო სასტიკად გამოიცვალა საფრანგეთის ინტელიგენცია.

ივნისის პროლეტარულ აჯანყებამდის იგი გრძნობდა და აზროვნებდა ისე, როგორც სოციალისტი, მოითხოვდა სოციალურ სამართლიანობას, ადგენდა ყოველგვარ უტოპიასა და აარსებდა ათასგვარ სოციალისტურ ჯგუფსა: კაბეტისტებისას, სენ-სიმონისტებისას და ფურიერისტების. 1848 წლის შემდეგ ინტელიგენცია ზურგს უქცევს მუშათა კლასს, ისევე, როგორც მუშათა კლასი შორდება მას. ინტელიგენციის იმ მოდგმის ისტორია, რომელიც შეესწრო 48 წ. რევოლიუციას, საუკეთესოდ არის აღწერილი ფლობერის „სენტიმენტალურ აღზრდაში“. ეს ინტელიგენცია ცხოვრებაში გამოსვლისას რესპუბლიკანურ იდეებით იყო აღჭურვილი, ეზიზღებოდა მდაბიო-მოქალაქე ლუი-ფილიპე, თანაუგრძნობდა მშრომელ ხალხს. ესევე ინტელიგენცია თებერვალში თოფით აღჭურვილი ბარიკადებს აშენებდა. ხოლო 48 წლის რევოლიუციის შემდეგ, ჯერ სისხლიც არ შემშრალიყო პარიზის ქუჩებს, რომ ინტელიგენციამ მარჯვნივ გადაუხვია. ინტელიგენტები, ისევე, როგორც ყოველგვარ მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსისხლე მტერი ვექლი დელორიე, თავის კარიერას უფროს-პრეფექტობით ამთავრებენ. მეორენი, როგორც სენეკალი, რომელიც მოითხოვდა „შრომის ორგანიზაციას“ და ქალაქის თვითმართველობის შენობის იერიშით აღებას, შედიან პოლიციაში და იქ აგენტებად მსახურობენ. ინტელიგენციის უკეთესი ნაწილი ხდებიან მშვიდობიან რანტიერ-ბურჟუებად; ხოლო სიკვდილამდი დარწმუნებული არიან, რომ პროგრესის მატარებელი ხალხი კი არა, არისტოკრატია არის, რომ ყოველივე ინიციატივა ზევიდან უნდა იყვეს მოვლინებული, ვინაიდან „ხალხი არასოდეს არ იქნება სრულწლოვანი“. თუ რავდენად სისწორით აღბეჭდა ფლობერმა თავის რომანში თანამედროვე ინტელიგენციის ფსიხიკა, ამას ბოდლერის მაგალითიც გვიმტკიცებს. მე-48 წლამდის იგი ჰმეგობრობდა სენ-ანტუანის უბნის მუშებს, 48 წელს მათთან ერთად იბრძოდა ბარიკადებზე, ხოლო მე-48 წლის შემდეგ განაცხადა, საზოგადოების დედა ბოძნი „ღვდლები, მეომრები და პოეტები“ არიანო, დანარჩენი კლასები „თავლაში გამოსადეგი დაქირავებული ხალხიაო“.

გერმანელ ინტელიგენციის მდგომარეობა დამარცხების შემდეგ მით უფრო აუტანელი იყო, რომ მას უხდებოდა ჯერ კიდევ განუსაზღვრელ მონარქიასა და ფეოდალიზმთან ბრძოლა. პატრიარქალური სახელმწიფო კვლავ აწვებოდა ბედ-შავ წყლულად ინტელიგენციას. თვით წრეგადასული პროტესტანტი, აქტიური ელემენტებიც ჰმუნვას მიეცნენ. ლ. ფეიერბახმა არ იცოდა, რა ექმნა ამ „ნაგვის გროვაზე“, ამ „შეშლილთა სახლში“, ესე იგი „ნახევრად დამპალ ძველ ქვეყანაში“. ბაუერი დასახლდა სოფლად, ჩაიცვა გლეხის ხიფთანი და ხვნას შეუდგა. ხოლო შტირნერი, „ერთადერთის“ ავტორი, მდუმარებას მიეცა და გაჰქრა, ვითარცა აჩრდილი. გერმანელ ინტელიგენციის ერთ ნაწილში ფეხი მოიკიდა პესიმიზმმა. შოპენჰაუერი საყვარელი ფილოსოფოსი შეიქმნა. უნივერსიტეტში დააარსეს შოპენჰაუერის სპეციალური კურსები; სინიდისის პრობლემათა განმარტვა-ახსნას ახალგაზდობა შოპენჰაუერის ფილოსოფიაში ეძებდა. მამაკაცნი და ქალნი ხელს უკოცნიდენ ფილოსოფოსს. და წიგნის „ქვეყანა, როგორც წარმოდგენა და ნება“ ავტორი არაფრით განირჩეოდა საშუალოსაუკუნოების ზღაპრულ მეფე არტურისაგან. მეორე ნაწილი გერმანიის ინტელიგენციისა გაიტაცა მოლეშოტისა და ბიუხნერის უხამსმა მატერიალისტურმა ფილოსოფიამ, ვინაიდან ინტელიგენცია მასში ჰპოებდა ეპიკურიულ გულის-ნადების, იდეისა და ბრძოლის მიმართ გულცივობისა და ყოველდღიურ მდაბიო მოქალაქეობრივი წვრილმანობის გამართლებას.

იმ დროს, როდესაც ევროპის ლეგალური ინტელიგენცია ან კონსერვატიული ხდებოდა ან სავსებით ემხრობოდა რეაქციას, რომ ამით მეტი წარმატება ეგდო ხელში, ან სავსებით ეძლეოდა პესიმისტურ განცდათ და მატერიალისტურ მოძღვრებათ, ლონდონში იკრიბებოდა ნაშთი რევოლიუციონერების დამარცხებულ არმიისა. ეს იყო ჭრელი და უცნაური ბრბო; აქ იყვენ ყველანი განურჩევლად ხალხოსნობისა და და წლოვანებისა, ინტელიგენტები და მუშები, თეორეტიკოსები და პრაქტიკული მებრძოლნი, რადიკალები და სოციალისტები, რევოლიუციის უკანასკნელი გრენადერები. ლონდონის ემიგრანტთა შორის ერთი მძლავრი ორგანიზაცია არსებობდა — გერმანელ კომუნისტთა კავშირი. ეს კავშირი შემდეგში ინტერნაციონალად და მერე სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გადაიქმნა. სათავეში ამ კავშირს მარქსი და ენგელსი უდგნენ. ეს ორი მეგობარი დარწმუნებული იყო, რომ რევოლიუცია კვლავ წამოიწევდა თავს. 1850 წლის მარტში კომუნისტების ცენტრალურ კომიტეტის სახელით მათ გამოსცეს მოწოდება, რომელშიაც ამბობდენ — რევოლიუცია კვლავ მეტის ძალღონით იფეთქებსო. ამას გარდა, ამავე მოწოდებაში შემუშავებული იქმნა მუშათა კლასის ტაქტიკა „წვრილ ბურჟუაზიულ“ რევოლიუციისათვის. 1850 წლის ზაფხულში მარქსი და ენგელსი დარწმუნდენ, იმედი არ გამართლდებოდა. მაშინ იშვიათის გმირობით მიაბარეს ორთავე მეგობარმა საფლავს თავისი რევოლიუციური იმედ-ოცნებანი და გაორკეცებულის ენერგიით შეუდგნენ ორგანიზაციის შექმნას, თეორეტიულ მუშაობას. მარქსი ამზადებდა „კაპიტალისთვის“ მასალას. ორივე მეგობარი შეუდგნენ განხილვას იმ კითხვისას, თუ რად დამარცხდა მთელი ევროპის ამფორიაქებელი მოძრაობა. და მაშინ, როდესაც ევროპის ცენტრალურ კომიტეტის რადიკალები (მა-

ძინი, რუჰე, ლედრიუ-როლენი) კატასტროფის მიზეზს მოძრაობის მეთაურთა თეორეტიულ უთანხმოებაში ეძიებდენ (ინდივიდუალისტური განმარტვა ისტორიისა), მარქსი ამტკიცებდა, მოძრაობა კრიზისმა შექმნა და იგივე მოძრაობა წარმოების განვითარება-ზრდამ დაამარცხაო (მატერიალისტური განმარტვა ისტორიისა). როდესაც ხვალინდელი რევოლიუციის მოლოდინი დამარხეს, მარქსი და ენგელსი დარწმუნებული იყვენ, რომ „ახალი რევოლუცია ისევე აუცილებელია, როგორც ახალი კრიზისი". ამგვარისავე რწმენისა იყო მარქსისა და ენგელსის მეგობარი ფრეილიგრატი.

1851 წელს, იმ დღეს, როდესაც საერთაშორისო ბურჟუაზიამ ლონდონში ბრწყინვალე randez-vous გამართა, ფრეილიგრატმა საერთაშორისო პროლეტარიატის სახელით შექმნა ჰიმნი სადიდებლად იმისა, რაც სხივფენილ პროგრესის სიმბოლოა და რაიც არასოდეს არ მოკვდება.

„თუმცა თქვენ დახვრიტეთ რევოლიუცია ისევე, როგორც ხვრიტავენ ტყვეს ციხის კედლებზე, თუმცა ზედ დაადგით სასაფლავო ქვა, რომელსაც გლეხის ახალგაზდა ქალი დილით ადრე ყვავილებით ამკობს, - მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ რევოლიუცია კვლავ ცოცხალია. როგორც ღვთაება — შემქმნელი მსოფლიოსი — იგი გვეუბნება: მე ვიყავი, მე ვარ, მე ვიქმნები უკუნითი უკუნისამდეო"...

**პეტრე დადვაძე**

---

## რ ჩ ე უ ლ ი

განთიადისას, როს იმსხვრევა შავბნელი ხუნდი,
როცა შემოქმედს ქებით ამკობს ანგელოზთ გუნდი—
ზეამაფრენას შევლაღადებ მაშინ მე ცასა,—
მსურს სიმაღლიდან ძირს წიაღში ჩავხვდე მიწასა...
მსურს მზეს მივეჭრა, მზეს მოვტაცო სხივი დიადი
და დედამიწას შემოვტყორცნო,—მოვსპო წყვდიადი!
სიყვარულია ჩემი სატრფო, მე მიყვარს ისა,
და ჩემი გული, გული არის მღელვარე ზღვისა!
მე მსურს დავამხო მავნე სულთა მავნე სამეფო,
ის გამოვიხსნა, ტახტზე დავსვა და გავამეფო.—
ცით ყოველ-ღამე მეფიცება ვარსკვლავთ ლაშქარი,
უდაბნოთაგან ბრძოლის ქინით მოილტვის ქარი...
ნამი კრიალა ეფრქვევა ველს, ყვავილს, ბალახსა—
მიწა ჰლალატობს მას — უმზადებს მწიკვლს და ტალახსა:—
წინავმორბედობ მეც სიწმინდეს, ნარნარ გრძნობასა,—
ბრბო მავნეთაგან ჩამხითხითებს, მითვლის გმობასა;
დე ასე იყოს, დე ვეწამო! რა არის ძრწოლა,
ჩემი ხვედრია,—მე მწყურია მედგარი ბრძოლა.

**ბაბილინა**

## ხ ე ლ თ ა თ მ ა ნ ე ბ ი

ხელოსანის სახელი შორს იყო გავარდნილი: თვისი ხელობა ხელოვანებათ გადაექმნა. ბრბო მასალის, თარგის და დაზგის სიკეთის ნაყოფად სთვლიდა ლაზათიანს და მოხდენილს ხელთათმანებს; დახელოვნებული პირები კი, თვით შემოქმედნი, როცა შნოიან ხელთათმანს დაინახავდენ, მკეთებლის უნარს მიაწერდენ და ნაწყენი ფიქრობდენ: რა უმზგავსო რამეს ჰკერავს ხშირად ეგ უგბო ხელოსანიო.

სახელოსნოში დიდი ხნიდან ორი ხელთათმანი იყო გამოფენილი; ერთი მოკლე, შავი, სამგზავრო ხელთათმანი; მეორე-კი თეთრი, გრძელ-ყელიანი, ნაზი, სადარბაზო. ვინც არ შემოვიდოდა, პირველად მათ შეხედავდა. მაგრამ ხელთათმანები ადამიანსავით იცვლიდა ფერს და ხასიათს: ვისაც თეთრი ხელთათმანები სურდა, მას ყვითლად უჩვენებდა თავს, ვისაც დიდი —პატარად.

გონება-დაბნეული ხელოსანიც ძვირფასის მსურველს იაფად უფასებდა ხელთათმანს და იაფის მსურველს ძვირად.

შეგირდი სხვა და სხვა ადგილს აწყობდა მათ. ისინი ცოტა ხნით მაინც ასწრობდენ ერთმანეთს დაახლოვებოდენ. დიდის ხნით მხოლოდ გოდორში შეხვდენ ერთმანეთს როცა გაცრეცილი ხელთათმანები ოსტატმა თაროდან ჩამოყარა. სურვილი გამქრალიყო, მაგრამ სიყვარულის მოგონებას მათ გულში არც ერთი სხვა გრძნობა არ ჩრდილავდა.

პატარა ხელთათმანი გასრიალ-გამოსრიალდა და მაღალ-ყელიანი ხელთათმანში ჩაძვრა. ძველი ხელთათმანი მოიკუმშა, დაეხვია, და ორივე ერთად დალპა...

ყველაფერი ლპება მაგრამ ასე უგნურად?!

**ნ. ლორთქიფანიძე**

# ყრუ სოფელში

სცენები 3 სურათად, გლეხთა ცხოვრებიდან.

**მოქმედნი პირნი:**

**ნიკო სულაძე**, გლ. 38 წ. **ფროსიკო**, მეზობ. 36 წ.
**მაიკო**, მისი ცოლი 35 წ. **ალათი**, მარჩიელი 40 „

| | | |
|---|---|---|
| **სონა** 14 წ.<br>**კოლა** 12 „<br>**ნუცა** 9 „<br>**დათიკო** 6 „ | მათი შვილები | **ექიმი** 30 „<br>**სევერიან**, სოფლის მასწავლებელი 28 „<br>**დიმიტრი**, მამასახლისი 40 „ |
| **ივანე** 65 „<br>**სიმონ** 45 „<br>**პეტრე** 40 „<br>**სეფე** 32 „<br>**გოგია** 27 „ | მეზობელი გლეხ. | **მიხეილ**, მწერელი 35 „<br>**კოსტა**, ხარკის ამკრეფი 35 „<br>**ბოქაული.** |

**მამასახლისის თანაშემწენი, სოფლის დარაჯნი, გლეხნი, ყმაწვილკაცნი და ქალნი.**

## მოქმედება პირველი

სამზადი სახლი, შუა ადგილას კერაა, მის პირდაპირ ჩამოშვებულ ნაჯაზე ქვაბი ჰკიდია. ცეცხლი ჩამქრალია. ორი კარია: ერთი შუა და მეორე მარჯვნივ, რომელიც სამზად სახლს მეორე ოთახთან აერთებს. მარცხენა მხარეს ტახტი. დანარჩენი მოწყობილება ჩვეულებრივი—გლეხური.

I

**მაიკო, ნუცა, გოგი, დათიკო, კოლა.** მაიკო ჩერიას ართავს. კოლა „დედაენას" კითხულობს ჩუმად. ნუცა და გოგი ტახტის ფეხზე მიბმულ კატას ათამაშებენ.

**მაიკო.** კოლა, შვილო, წადი ცოტა ფიჩხი მოაგროვე და მოიტანე, საცაა დაღამდება და ცეცხლის შესანთები არაფერი გაგვაჩნია.

**კოლა.** მერე სად ვიშოვო, დედა, ეს ოხერი ფიჩხი? გუშინ ხუთი საათი ვეძებე, ძლივს ხუთი ღერი შევაგროვე. ცოტა გაკვეთილიცა მაქვს და იმის დასწავლასაც აღარ მაცლით ახლა.

**მაიკო.** (ტკბილად) წიგნის დასწავლა კარგია, შვილო, მაგრამ სხვაც გვინდა. დაღლილი მამაშენი რომ მოვა, წვენი ხომ უნდა შევუთბოთ და ვახშამი ვაჭამოთ, შვილო!.. წადი, წადი, გენაცვალოს დედაშენი და ორიოდე მაინც მოაგროვე; გაკვეთილის დასწავლას მერეც მოასწრებ.

**კოლა.** მოასწრებო, დაგიჩემებია... (წიგნს ტახტზე დასდებს და მიდის)

**მაიკო.** (მიმავალ კოლას) კოლა, შვილო, სონასაც გადასძახე, სახლში მოვიდეს. (თავისთავის) მომკლა სწორეთ იმ ქალმა: გასათხოვარი ქალია და ჩხირის ოდენა საქმეს ვერ გააკეთებინებ... მთელი დღე მეზობლებში თრევა ვის გაუგონია!

**კოლას ხმა** (გარედან) სონია, სონია უუუ! სონია, უუ! დედამ სახლში გამოიარე მალე, სახლშიო... როდის ახლავე?!. ოცჯერ კი დაგიძახეთ და მაინც არ მოდიხარ!

**ნუცა.** (დათიკოს, რომელიც ტახტის ფეხიდან კატას ხსნის) რისთვის ხსნი, ბიჭო, მაგ კატას,—გაგექცევა.

**დათ.** ლოგოლ გამექცევა,—კატას ველ მოველევი!..

**ნუცა.** ვერ გაგექცევა კი. გაუშვი, ბიჭო, ხელი. (ნუცა მივა და უშლის მოხსნას) ნუ მოხსნი,—ასე ვათამაშოთ.

**დათ.** (გაჯავრებული) გამიშვი ხელი, ნუკია.., შენ ლა გინდა,—მე ალ დავაბი?..

**ნუცა.** მერე რა, შენ რომ დააბი?.. მე რომ არ დამეჭირა,—ვნახავდი, რასაც დააბამდი (ხელში ეცემა და უნდა აქეთ გამოსწიოს) გაუშვი ხელი! (წაიჩხუბებიან და ერთმანეთს უფაჩუნებენ)

**მაიკო.** რა ღვთის წყრომაა, ბაღლებო! (მივა და აშველებს) მოხსენი, ბიჭო, ეგ კატა და გაათრიე აქედან... გული გააწყალა მაგისმა კნავილმა.

**დათ.** (მიდის და ტახტის ფეხს უტრიალებს) ველ მოვხსენი და ლოგოლ წავიყვანო.

**მაიკო.** (მოუხსნის) ჰა, დაიკარგე მაგიანად.

**დათ.** (მიათრევს ბაწრით, კატა კნავის) აბა იჭყავლე, ჰა! (გადის)

**ნუცა.** (ზევით წამოიწევს) დაახრჩო კატა, დედა, დაახრჩო!..

**მაიკო.** (ჩერიას მოუჯდება. ნუცა ტახტის ქვეშიდან დედოფლებს გამოიტანს და სათამაშოს გაშლის; მაიკოს ძაფი გაუწყდება) რა უბედურება აგიტყდათ. (ჰაუზა)

**ნუცა.** დედა, დედოფალას კაბა შემიკერე. (მაიკო ყურს არ ათხოვებს) არ გესმის, დედა? დედოფალას კაბა შემიკერე—მეთქი.

**მაიკო,** ნუ შემიწუხე, გული, გოგო! არც შენ გაცვია, საკერებელის შოვნა მიჭირს და რა დედოფალებისა მცხელა.

II

იგინივე და **სონა**

**სონა.** (ხელოვნურად გადიმებული სახით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის გული მოალბოს) რა გითხრა, დედა, რომ იცოდე, რა მომხდარა?!..

**მაიკო.** (გაჯავრებული) ჰო, რა მომხდარა... გავარდები სახლიდან და საღამომდე კაცი ვერ დაგინახავს! როგორ არ გრცხვენია მაგოდენა ქალს ცისმარე დღეს დილიდამ საღამომდე მეზობლებში თრევა?!. შენოდენა ქალი მყავდეს და მარტო ვზრუნავდე ყველაფერზე?!. ქათამს ვუგდო ყური, ბავშვებს ვუყურო, ღორს მივხედო, სადილი და ვახშამი მოვამზადო. რა ჩემი ცოდვის კითხვამ გამოგიყვანა ამისთანა ზანტი? მამა არ გყავს ზარმაცი და დედა. შენოდნობას მთელი ოჯახი მარტოკას მაწვა კისერზე, ყველაფერს მე ვაკეთებდი. შენ კი სადილს ჩაყლაპავ თუ არა, თავს აიშვერ და მირბიხარ. წლოვანების მაინც როგორ არ გრცხვენია, ქალო?..

**სონია.** შენ თუ დაიწყე, თავს მოხსნი და გათავება აღარ გეშველება. რა იყო, რა მოხდა, წელან არ წავედი?!

**მაიკო.** (განცვიფრებული) რაო, რაო?!.. წელან წავედიო?! ტყუილის თქმისაც რომ არ გრცხვენია. წელან კი არა, გული გადამელია შენის ლოდინით. დაჯექი და ჩერია აიღე ხელში. კუთხეში რომ მიგიგდია ოხრათ დარჩენილსავით. (სონა ზანტად მიუჯდება ჩერიას), იქნებ ერთი ათი წყვილი წინდის დროზე მოქსოვა მოვასწროთ, თორემ ხომ ხედავ, ბორჩიკი ყოველ დღე გულს გვიწვრილებს და სულს გვიწუხებს საფოშტო გადასახადზე. ოთხი მანათი, შვიდი შაური და ორი კაპეიკი უნდა გადიხადოთო და საიდან გადვიხადოთ, ერთი გროშიც რომ არ გაგვაჩნია.

**სონ.** მე რომ მეჩხუბები, ვითომ რაო?!. რა ჩემი ბრალია, ჩვენ რომ ღარიბები ვართ.

**მაიკო.** შენი ბრალი ის არის, რომ ზარმაცი და წელმოწყვეტილი ხარ, საქმე გეზარება; არ გინდა მომეხმარო. ამდენმა საქმემა და მოთხოვნილებამ წელში გაგვწყვიტა ცოლ-ქმარი. საწყალი მამიშენის ხელ-ფეხმა მოსვენება არ იცის რა არის. დღეს, ამისთანა გვალვაში, სახნავშია კაცი,—მოკვდება, მა რა ხეირი დაეყრება იმ საწყალს...

**სონა.** თუ გვალვაა, თავს რაღად აკლავს: მოვა წვიმა და მერე დახნას.

**მაიკო.** (გაბრაზებული) შე სულელო, შე გამოშტერებულო, რით დახნას ნაწვიმარზე? თვითონ ხომ არ შეებმება უღელში?! ხედავ, მარტო ცალი ხარი გვყავს. ახლა ძლივს იშოვა სანათხოვროთ მეორე ხარი და ნაწვიმარზე კი ვინ გათხოვებს, ყველა თავის სახნავში წავა.

**ნუცა.** (მაიკოს და სონას ლაპარაკის დროს ტახტიდან ჩამოიღებს „დედა-ენას", გაუშლის დედოფლებს და ასწავლის) ა... ა... ბუ... ა... ბუ...

III

იგინივე და **კოლა**

**კოლა.** (ცოტა ფიჩხს შემოიტანს და დაურის) ძლივს ვიშოვე ორი ღერი, (დაინახავს ნუცას) აჰ!.. ეს რაა, ნუცია!.. საწყალმა მამამ ძლივს წიგნი მიყიდა და შენ დედოფლებს ჩაუგდე მტვერში?! (მივარდება ნუცას, თავში ჩაჭკრავს და წიგნს აიღებს) აბა, კიდევ გაბედე... სულს ამოგხდი! (კიდევ წაჭკრავს)

**ნუცა.** (აღრიალდება, მივარდება დედას და კალთაში ჩაუვარდება) მიშველე, დედა! კოლამ გამლახა...

**მაიკო.** (ხელს კრავს და მოიცილებს) რა ღვთის წყრომა დაგემართა, გოგო, კინაღამ ჩერიას ჩამოეგე. (კოლას) რა იყო შვილო, რომ აატირე. ყველაზე უფრო ჭკვიანი და გამგონი შვილი შენა მყავდი და ახლა შენც გადაირიე?!.

**კოლა.** რავა, რა იყო...

**ხმა.** (გარედან) კოლა, კოლა ბიჭო. გამოდი!

**მაიკო.** არიქა, შვილო, მამაშენი მოვიდა, —გახედე, ჭიშკარი გაუღე, მიეხმარე, ხარები გამოახსნევინე, დაღლილი იქნება.

**კოლა.** (წიგნს ტახტზე დადებს) მივდივარ... (მიდის)

**მაიკო.** (ჩერიას განზე გადადებს; ნუცას, რომელიც კიდევ სტირის) ნუ ღრიალებ, ნუცა, პატარა წაგიფაჩუნა,—ხომ არ მოუკვლიხარ? ადე და ფიჩხი შეუკეთე კერას. (ნუცა ფიჩხს მოსწევს) ახლა გადი და ორიოდე ჩალის ღერი შემოიტანე, თუ არ შეუხმელე,—არ დაინთება. (ნუცა გავა და მალე დაბრუნდება ჩალის ღეროებით. თვითონ ტახტის თავიდან სპიჩკა მოაქვს) აქ მომეცი. (ართმევს ჩალის ღერებს, დაიჩოქებს და ცეცხლს ანთებს) აბა, სონა, ვინძლო ადგილიდან არ დაიძრა... ერთი ბეწო მიხვედრა რომ არა გაქვს!. გადი და მიეხმარე: ხარები დააბმევინე, ჩალა მიუტანე; დაღლილი კაცი აქეთ გამოუშვი.

**სონა.** (მიაგდებს ჩერიას) ნეტავი შენ დაწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარდებოდე და მე—თუ გინდა—ჯოჯოხეთშიც კი წავალ! (მიდის. კარებში ნიკოს შეხვდება)

IV

იგინივე და **ნიკო**

**ნიკო.** (შემავალ სონას) კოლას მოეხმარე, სონა—შვილო, მაგრამ დააბას ხარები.

**მაიკო.** (ნიკოს დაბალ სკამს დაუდგამს) აჰა, დაჯექი. ძაან დაღლილი იქნები. როგორი სახნავი იყო? (ქოთანი მოაქვს და ცეცხლს მიუდგამს)

**ნიკო.** როგორი და დაწყევლილი... ძაან დაგვალულია, მაგრამ რა უნდა მექნა. ერთი კვალი მიწა გაჭირვებით ჩამოვხანი; მეც გავთავდი და ხარებიც დაიხოცნენ. (პაუზა) ბორჩიკი ხომ არ ყოფილა?

**მაიკო.** არა, არ ყოფილა. სული ხომ არ ამოხდება,—მოიცადოს ერთი ორი დღე; როდის იყო, რომ საფოშტო გადასახადი შევირჩინეთ?!.

**ნიკო.** შერჩენას ვინა სჩივის, ნეტავი პატარას დამაცლიდეს და ყელში ხელს არ წამიჭერდეს, თორემ... გამიჭირდა და სწორედ გამიმწარდა სიცოცხლე: ეს დრამა, ის დეჟურნის ფულიო, ეს საფოსტო, ეს სტრაჟნიკისა... გავტყავდი კაცი. შემოსავალი არაფერია და გადასახადებს-კი ვერ ჩამოთვლი. დასწყევლა ღმერთმა ჩვენი სიცოცხლე! (ადგება, წყლიან ლიტრას აიღებს და მიდის) წამო, შვილო, ნუცა,—წყალი დამისხი, პირი დამაბანინე, თორემ მტვერში ვარ გაგანგლული... (გადის, ნუცა მიჰყვება)

**მაიკო.** (ნაღვლიანად) რა უნდა ქნას კაცმა ეს ოხერი და ტიალი: ზოგი არაფერს აკეთებს, ყველაფერი აქვს; ზოგი-კი ჩვენსავით წელს იწყვეტს უზომო შრომით და მაინც ტიტველ-შიშველი, მშიერ-მწყურვალეა.

V

იგინივე და **სონა, კოლა** და **დათიკო**

**მაიკო.** რა ქენი, შვილო?.. ხარები ხომ დააბი, ჩალა სამყოფი დაუყარე.

**კოლა.** ჰო,დედა.

(სონა ჩერიას მიუჯდება, დათიკოც თავისთვის განზე ჯდება)

**მაიკო.** (კოლას) ჩალის ჭამა რომ გაათავონ, პეტრეს თავისი ხარი წაუყვანე და მადლობა უთხარი.

**კოლა.** წავუყვან! (ტახტზე ჩამოჯდება და წიგნს კითხულობს უხმოთ)

**მაიკო.** (შეამჩნევს დათიკოს გახეულ პერანგს) ეს რა გიქნია, შე უბედურო, მთლათ ჩამოგიხევია პერანგი!

**დათიკო.** (შეშინებული) ეს... ეს... ლობემ მიყო... ლობეზე მოვედე...

**მაიკო.** რა ჩემმა ცოდვამ შეგაყვარა ღობეზე ბაბლური: ღობესაც ამტვრევ, პერანგსაც დაგიხევია... ახლა რა გეშველება! ვერ ხედავ, ყველა ტიტვლები ვართ?

**დათიკო.** მე ლა ვქნა, ძალათ ხომ ალ გამიხევია.

**მაიკო.** რა ქნა და იარე დახეულ პერანგით (დაჯდება და ჩერიას აიღებს). სწორეთ არ ვიცი, რა გვეშველება: ტანთ ჩვენ არ გვაცვია და ფეხთ, სიმინდია და ორი თვე თუ გვეყო, დიდი იქება...

**ივ. ჭავჭანიძე**

(შემდეგი იქნება)

## ნ. გვარაძის ბენეფისი ხონში



დღეს 1 აგვისტ. ახალგაზდა ნიჭიერ მსახიობის ნ. გვარაძის ბენეფისია დ. ხონის თეატრში. გასულ 1907-8-9 წლების სეზონებში, გვარაძე ხონში წარმოდგენებს რეჟისორობდა. წელს-კი რეჟისორის თანაშემწეთაა. ნ. გვარაძის მოხდენილის და ხელოვნურის თამაშით ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა საზოგადოება. იშვიათია ისეთი შემთხვევა, ნ. გვარაძეს ხონის თეატრში როლი გაეფუჭებინოს. ბეჯითი, საქმის მოყვარე ყოველთვის სწავლობს როლს და როლის უსწავლელათ სცენაზე გამოსვლა დიდ ცოდვათ მიაჩნია. ნ. გვარაძე რომ პირველად ხონში ჩამოვიდა, დიდი შრომა დასჭირდა—ყოველ ორკვირაში ერთხელ ემართა წარმოდგენები. მისმა მუყაითობამ ხონის თეატრს ცოტად თუ ბევრად ნიადაგი მოუპოვა ხალხში და ახლა კვირაში ორჯერაც იმართება ხოლმე წარმოდგენები.

აი, ასეთი დვაწლი მიუძღვის ნ. გვარაძეს ხონელების წინაშე. იმედია, საზოგადოება მის შრომას ცოტათი მაინც არის დააფასებს და მის საბენეფისო წარმოდგენას დაესწრება, მით უმეტეს, რომ პატივცემულ მსახიობი თავის საბენეფისოდ ახალს და მეტად შინაარსიან პიესას „პირველ მერცხალს“ სდგავს.

**ტეზეი**

# დიქცია

(მე-VII-ე წერილის გაგრძელება, იხ. № 29)

„ტალმა ერთ საღამოს თამაშობდა ჰამლეტის როლს. ვიდრე მისი გამოსვლის დრო მოვიდოდა, ეს საუცხოვო მსახიობი კულისებში თავის მეგობარს ელაპარაკებოდა სულ სხვა საგანზე. ეს—აჩრდილის სცენის დაწყებამდის იყო. სცენარიუსს ეგონა, ლაპარაკით გართობილს შეიძლება დავიწყდა, რომ მალე სცენაზე უნდა გამოვიდეს და მოწიწებით უთხრა: „ბატონო ტალმა, სცაა თქვენი დრო იქნება“.

— ვიცი, ვიცი! მიუგო ტალმამ: მე ჩემს რეპლიკას ველოდები, და განაგრძო მეგობართან საუბარი. მოახლოვდა რეპლიკაც, სცენა, სადა აჩრდილი გამოჩნდება, ჰამლეტმა—ტალმამ ჯერ ისევ კულისებში უნდა თქვას: „მომშორდი, საზარელო აჩრდილო“. და სხვა. ტალმას თავის მეგობრის ხელი ხელში ეჭირა ისევე და ღიმილით ტუჩებზე შეჰყვირა: „მომშორდი, საზარელო აჩრდილო“. სთქვა ისეთის ძალით, ისე ხელოვნეურად, რომ მეგობარი განზე გახტა, და ზალაში სიჩუმე ჩამოვარდა“... (ლეგუვე)

ხომ ხედავთ? კარგი მსახიობი ყოველთვის მზად არის ითამაშოს თავისი როლი, და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, როგორიც საჭიროა, როგორიც უნდა მოახდინოს, როგორიც მას სურს. „როგორც პოეტს შეუძლია შეჰქმნას ტარტიუფი ან მაკბეტი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ შეუძლიან იყოს ყოვლად პატიოსანი კაცი, აგრეთვე მსახიობმა უნდა შეჰქმნას თავისი როლი და ერთი წამითაც არ დაივიწყოს თავისი „მე“ (კოკლენ). ნატურალიზმი, ნატურალიზმი!..

განა მსახიობი, რომელმაც მთვრალი კაცი უნდა დახატოს სცენაზე, უნდა დაითვრას, რომ კარგად ითამაშოს როლი?

დიაღ, კარგი მსახიობისთვის, ნამდვილი არტისტისათვის საჭირო არ არის დათრობა, აღელვება, ტირილი, სიცილი, რომ მან შთაბეჭდილება მოახდინოს საზოგადოებაზე. მისი მიმიკა უნდა აჩვენებდეს საზოგადოებას, რომ იგი მთვრალია, მისი სახის გამომეტყველება უნდა აჩვენებდეს საზოგადოებას, რომ იგი იტანჯება, მისი ინტონაცია ხმისა უნდა ატირებდეს და აცინებდეს მსმენელს და მაყურებელს. მხოლოდ ხმით შეიძლება ეს. საჭირო არ არის ტირილი, ამის მაგალითი უკვე მიყვანილი მქონდა ჩემს პირველ წერილში (იხ. თ. და ც. № 16 „ხმა“. თუ არ დაგეზარებათ,—წაიკითხეთ.

„ბ. ფრედერიკ ლემეტრ თამაშობდა მამი ჩემის ერთ პიესაში (Kean—კეან). მესამე მოქმედებაში, როცა კეანი შეიტყობს, რომ ვიღაცა გარყვნილმა დაარქვა კეანის სახელი, ასე მოტყუებით მოიტაცა ქალი, შემოდის სცენაზე ერთი ყმაწვილი მასკით, რომელიც კეანს ის გარყვნილი კაცი ჰგონია და ეუბნება:

— თუ ნიღაბს არ მოიხსნით—ვფიცავ ღმერთს, ძალად წაგაძრობთ.

**მეზვილ** რაო?!

**კეან** ჩქარა, ჩქარა, გესმით? (ლორდ მეზვილს უნდა გასვლა)

**კეან.** (მოჰკიდებს მარჯვენა ხელს) ოჰ! მე გეუბნებით, ვერ გახვალთ მეთქი, გესმით!

ერთხელ ამ სცენის რეპეტიციის დროს მსახიობი, რომელიც თამაშობდა მეზვილს, ბ. ლემეტრს ეუბნება: «მე რომ გაქცევა მინდოდეს, თავისუფლად შემიძლიან, რადგან ხეირიანად არა ვგრძნობ თქვენს ხელს.

— „რათ უნდა დავიღალო თავი,—უპასუხა ლემეტრმა—თქვენი მაგრა დაჭერით? თქვენ უნდა აჩვენოთ საზოგადოებას, რომ მე მაგრად მიჭერიხართ, ეს თქვენმა სახემ უნდა გამოხატოს“ (დიუმა შვილი).

ფრედერიკი მართალი იყო, რასაკვირველია.

მაგრამ ყველა ამითი იმის თქმა-კი არ მინდა, რომ მსახიობი თავის როლის ისე თამაშობდეს, როგორც ძალიან ბევრნი სჩადიან: დიაკანსავით იკითხოს ყოველისფერი, და დეკლამაციით ჩაუჭედოს ყურები მსმენელს, რომ მან უკუ აგდოს რეალიზმი, სინამდვილე. არა, ღმერთმა დამიფაროს, მე მაგის თქმა არ მინდა, პირიქით, მსახიობმა უნდა შეისწავლოს თავისი როლი ცხოვრებაში, უნდა ეძებოს ცხოვრებაში ყოველივე რეალური, ნამდვილი გრძნობები და გამოიყენოს დროზე, გარემოების დაგვარად, მან უნდა შეჰქმნას როლი, უნდა შეჰქმნას პირი, ისე, როგორც გაბუნია-ცაგარლისამ შეჰქმნა ხანუმა, აბაშიძემ აკოფა და სხვა. მე სხვა მსახიობებზე არ ვილაპარაკებ, რადგან ნება არა მაქვს ამ ორთან ერთად მოვიყვანო კიდე სხვა ვინმე. ვიმეორებ მხოლოდ ამაშია ხელოვნება, ნამდვილი ხელოვნება; თუ თქვეენა გგონიათ, რომ ხელოვნება სულ სხვა რამეა,—გთხოვთ მითხრათ, ამიხსნათ.

დიაღ, მსახიობმა, კარგმა მსახიობმა უნდა ისარგებლოს ცხოვრებით. უნდა დაუკვირდეთ ცხოვრებას, და გამოიყენოთ-მეთქი. აი, ყური დაუგდეთ, რას

ამბობს ერთი რეცენზენტი გენიოსს ტალმაზე, «როცა ტალმას შეატყობინეს მისი მამის სიკვდილი, მან შეჰყვირა, ისე გულწრფელად, ისე ლამაზად. ეს ყვირილი ისეთი შთაბეჭდილოვანი იყო, რომ მსახიობმა, რომელიც ჯერ ისევ მოცული იყო დარდითა და ვარამით, იმავე წამს ჩაიწერა, დაინიშნა, თუ როგორ შეჰყვირა: «თეატრში გამომადგებაო». აი, ნამდვილი მსახიობი, აი ნამდვილი ხელოვნება. მე ამ მაგალითით იმის თქმა არ მინდა, რომ თქვენც უეჭველად ასე მოიქცეთ ამისთანა შემთხვევებში, არა. ეს ყველას ვერ შეუძლიან, ამით მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ნამდვილი არტისტი ის არის, ვინც ცხოვრებას ყურადღებას აქცევს, აკვირდება და შემდეგ გამოიყენებს თეატრში.

ტალმა, როცა ავადმყოფი, გამხდარი ჩაყვითლებული იწვა ლოგინში, სარკეში ჩაიხედა და თავის მეგობარს უთხრა: „ასეთი გრიმი ტიბერის როლში კარგი იქნებაო“. ორი—სამი საათის შემდეგ განუტევა სული და მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე ვკვდები და ჩემს შემდეგ არა რჩება-რაო.“

დიაღ, ეს გახლავსთ უბედურება ჩვენი ხელოვნებისა... მაგრამ... ამაზე შემდეგში ვილაპარაკოთ...

რაიცა შეეხება რეალურ დეკორაციებს, საეროთოდ რეალურ მიზან-სცენას—ამაზედაც შემდეგში, ოდესმე, ვილაპარაკებთ...

ყველა ზემო ნათქვამი ნუ გგონიათ, რომ მარტო ჩემი აზრია. არა, ეს არის აზრი ყველა დიდი მსახიობისა, როგორც, მაგ., არიან: ტალმა, რენიე, რაშელ, სამსონ ლემეტრ და სხვა.

**გ. ჯაბადარი**

## ჩ ვ ე ნ ი ტ კ ი ვ ი ლ ე ბ ი
### (სახალხო სცენის შესახებ)

*უთანხმობაა მიზეზი საერთო უძლურობისა*
*და უძლურება-ნაყოფი პირუტყვულ უმეცრობისა.*

**აკაკი** (კრილოვიდან)

ბევრსა სწერენ ჩვენის თეატრის დაცემასა და მის განახლების საჭიროებაზე. სამაგიეროდ, არ შეხებიან სახალხო სცენას. თუ დიდი თეატრი ვერ არის დაყენებული სასურველ დონეზე და ახალ გზის ძიებაშია, მით უმეტეს სახალხო სცენას ესაჭიროება გამოცოცხლება. სახალხო სცენას ბევრი ტკივილი აწუხებს. უმთავრესად კი სცენის მოყვარეთა უთანხმოება, მათი ხარისხებათ დაყოფა, „პრემიერთა“ ყინიანობა და ყველა ამისი წარმომშობი—შეუგნებლობა.

ცხადია, ადამიანი, რომელიც თავის სურვილით ჰკიდებს ხელს ამა თუ იმ საქმეს და მის მოყვარულად ეცნობა საზოგადოებას, თუ იგი რწმენის კაცია, წმინდათ უნდა ემსახუროს არჩეულ გზას. მერე განა ჩვენ ჩვენის ნება-სურვილით არ შევიყვარეთ სცენა და მისი სამსახური? ბევრმა ხომ იდეალად დავისახეთ იგი! მერე, როგორ ვემსახურებით ამ საყვარელ საქმეს? როგორ ვუწყობთ ხელს მის აღორძინება-განვითარებას? რანაირად ვასრულებთ ყველა იმ მოვალეობას, რომელსაც გვაკისრებს საყვარელი სცენა? მაგრამ ინტრიგამ აქაც იჩინა თავი. საზოგადოთ ინტრიგა ძველი სენია,—იგი იქ უფრო იკიდებს ფეხს, სადაც „მე“ ა გამეფებული. ინტრიგა—ძეა „შენ“-„ჩემობისა“, და სწორედ ეს ჭია ღრღნის, ასუსტებს ისედაც სუსტ ძალას. დავიწყოთ პიესის არჩევიდან: საზოგადოთ პიესას ყველანი ვირჩევთ, ხოლო ფორმისთვის სარეპერტუარო კომისია გვყავს და როდესაც პიესებს ვასახელებთ, განა ვუფიქრდებით, რომელი უფრო ახლოა ხალხთანა და მის სულთან? განა ყველა იმას არ ვცდილობთ, იდუმლად, რასაკვირველია, „კარგი როლი გვაქვს თუ არა—ო“? და როდესაც როლი გვაქვს,—დაჟინებით ვამტკიცეთ: პიესა სახალხოა, სახალხოო.

მე ვიცნობ სცენის ისეთ მოყვარეებსაც, რომელნიც დაინტერესებული არიან, სად უფრო ეფექტიანი ტანისამოსი გვეცმევაო და ასე სდებენ ფასს პიესის ავკარგიანობას. ხშირად არცკი ვიცით ხოლმე პიესის შინაარსი და ის, ვინც პიესას ასახელებს, თავისი ყინის გასაყვანად, გმირების ქებას მოჰყვება ხოლმე, ხოლო მომხრეთა შესაძენად თანვე დაატანს: „შენ ეს უნდა ითამაშო და შენ ესაო“. ჩვენც, თუ რომელიმე გმირის როლს ვთამაშობთ, ვადასტურებთ—სახალხოაო. რა თქმა უნდა, მცირე როლების მოთამაშენი არ გვეთანხმებიან, იწყება პიესების უთავბოლო არჩევა. მადლობა ღმერთს, თუ რეპეტიციებს შევუდექით და კიდევ რადაც არ მოგველის, მაგრამ აგერ გვირისხდება ღმერთი და „პრემიერთაგანს“ აღარ მოსწონს როლი, ჭკვაში არ უჯდება: „დრამატურგი არ ვარგა, არა ბუნებრივი ტიპია“, გაიძახის, მათ მისდევენ ძველი მოწინააღმდეგნი და კვლავ.., იცვლება პიესა... როლუბის გულისათვისხომ ბევჯერ მუშტი-კრივიც გამართულა!!!

განა ეს საჭიროა იმ საქმისთვის, რომლის „მოყვარეებათაც“ ვეწოდებით? ყველანი ვიტყვით—არაო, მაგრამ, აბა, მოვიგონოთ, რამდენჯერ შეგვიფერხებია საქმე, თუმცა გულში გვიგვრძნია ჩვენი სიმ-

ტუუვნე, მაგრამ ჩვენს უალაგო თავმოყვარეობასა, და ჟინიანობას თავისი გაუტანია. რავდენი უმცროსი ამხანაგი დაგვიჩაგრავს და მისი პიროვნება გაგვიქელნია?!

განა ეს არის სცენის-მოყვარეთა მოვალეობა?— სცენა და ის ხალხი, რომლის მსახურებათაც მოგვაქვს თავი, ამას არ მოითხოვს! ამისვით საჭიროა გულწრფელი და პატიოსანი შრომა...

აბა, ჩაუფიქრდით ჩვენს მოვალეობას და დაინახავთ, რა კეთილი საქმე გვხვდა წილად. დიაღ, იგი —სცენა— წმინდაა, სცენიდან ადამიანის თავისუფლებას, კაცთ-მოყვარეობის გავრცელებას, მეგობრობის და წმინდა, უმანკო სიყვარულის აღორძინებას ემსახურება. სცენა გზის მნათობია კაცობრიობის. ხალხი იქ ხედავს ადამიანს და სწავლობს—ადამიანობას. ამიტომაც უნდა უკუ ვაგდოთ პირადი „მე“, უანგარო პატივისცემით მოვეპყრათ ხელოვნების ტაძარს—თეატრს და მის ყოველ ჭეშმარიტ მუშაკს, ვინც უნდა იყოს: დეკორატორი, რეჟისორი, არტისტი, თუ სცენარიუსი.—და, ყველას გვქონდეს ერთი უფლება, ერთი ხმა და გვრწამდეს, რომ მხოლოდ პატიოსანი უშწიკვლო შრომა დაგვაახლოებს მიზანს...

**კლიაჩა**

## ჩემი შთაბეჭდილებანი
### (დაბა სურამი)

წელს სურამში საავარაკოდ ბევრია მოსული. მიუხედავათ იმისა, რომ სურამი მოუწყობელია და უსუფთაოც, მაინც დიდძალი ხალხი ეტანება. გასართობები ძლიერ ცოტაა. არის სასეირნოთ «პარკი», სადაც უკრავს სამხედრო მუსიკა. ამ პარკშივე არის სათეატრო ხის შენობა, რომელიც ძლიერ უყურადღებოთ არის დატოვებული და არც ხალხი დაიარება! ამის მიზეზი ის არის, რომ თვითონ თეატრი მოუწყობელია: სკამი სკამს არა ჰგავს, სინათლე სინათლეს და სხვ. სცენა ხომ ისეთია, კაცს არ შეესვლება: არც საპირფარეშო, არც დეკორაციები (მხოლოდ ერთი ოთახია), არც ავეჯეულობა, არც რეკვიზიტი. სცენაზე მხოლოდ ორგან ბჟუტავს ლამპა, და, აბა, აქ შემსვლელმა საზოგადოებამ როგორი შთაბეჭდილება უნდა გამოიტანოს! წარმოდგენები?.. ყოვლად უხეირო და უსარგებლო, წარმოდგენებს სდგავენ: ნასიამოვნები კი არა, გულდაწყვეტილი გამოხვალ და ბედს იწყევლი, რათ წაველით. სად არის დრამატიული საზოგადოება, რომელიც აქ არსებობს, რათ არ მიხედავს ყველა იმ უწესობას, რომელიც აქა ხდება. ნუ თუ მას დავიწყებია თავისი დანიშნულება? ნუ თუ „დრამატული საზოგადოება“ იმისთვის უნდა არსებობდეს, რომ ხელი შეუწყოს ყოვლად უხეირო წარმოდგენების მართვას? არა, ბატონებო, დრამატიულ საზოგადოებას (თუ ის ნამდვილი საზოგადოება არის და არა ფორმა) დიდი მოვალეობა აწევს: თეატრი-კი არ უნდა შეაძულოს ხალხს, არამედ შეაყვაროს და ეცადოს, რაც შეიძლება, რიგიან წარმოდგენები აჩვენოს საზოგადოებას. საჭიროა ყოველ ზაფხულობით მოიწვიოს გამოცდილი ხელმძღვანელი და მისის დახმარებით მართოს წარმოდგენები, როგორც ეს ჭიათურასა და ხონშია.

**იუზა ზარდალიშვილი**

# სათეატრო ამბები
## ადგილობრივი

**დრამ. საზ. გამგეობამ** უკვე შეავსო დასი. დასში საუკეთესო ძალებია მოწვეული.

**მომავალ სეზონში** ქართულ თეატრში დაწესებულ იქნება **რეჟისორთა საბჭო.**

**ვლ. ალ.-მესხიშვილმა** უკვე თანახმობა განაცხადა თბილისის დრამატ. დასში სამსახურისა, როგორც რეჟისორმა და მსახიობმა.

**ვლ. შალიკაშვილი** ამ დღეებში დაბრუნდება ხონიდან და შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

**გამხმარი ფოთოლი**, ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა, რუსულად გადათარგმნა ივ. პოლემორდვინოვმა და ნებართვის ასაღებათაც წარუდგინა სადაც ჯერ არს პიესა ცალკე წიგნადაც გამოვა.

**ახალი ორიგინალური პიესა,** ს. გლახაშვილის 3 მოქ. დრამა **„დალი“**, წარმოდგენილი იქნება მომავალ სეზონში.

**დრამ. გამგეობამ** მიიღო ორი ახალი პიესა **„ციცუნი“**—მოპასანის Musette-დან გადმოკეთებული ჰ-ს მიერ და **„სოკრატე“**, თარ. ლ. ბოცვაძის-მიერ.

**ლეონიდ ს. ალექ.-მესხიშვილმა** გადათარგმნა ორი ახალი პიესა—ო. მირბოს **„ოჯახი“**, დრ 3 მ., და ბელოისა—**„იუდის კოცნა“**, დრ. 3 მ.

**ალ. წუწუნავას დრამ დასი** მიემგზავრება გურიის სოფლებისკენ კ. ფოცხვერაშვილის პიესის **„აშენ-და საქართველო“**-ს წარმოსადგენად.

**რედაქციამ მიიღო** ჩვენის ახალგაზდა მგოსნის **ა.** შანშიაშვილის ახალი პიესის **„შოთა“**-ს ხელთნაწერი. პიესა ლექსითაა დაწერილი, 4 მ. და 7 სურ. პიესაში მოქმედ პირებად გამოყვანილია შოთა, თამარ მეფე, შოთას ცოლი, მისი ძმა, აბდულა არაბი და მრ. სხვ. რედაქციამ უკვე შეიძინა უფლება და მალე ბეჭდვასაც დაიწყებს.

**ქართულად ითარგმნება** ბელგიელ სახელგანთქმულ მწერლის ვერხარნის დრამა **„ნალარის ხმაზე“**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობას** განზრახვა აქვს ენკენისთვისთვის მოიწვოს საქართველოს დრამატ. საზოგადოებათა სიეზდი.

## რუსეთი

**მცირეწლოვანი მსახიობიქალი** ანჯელიზა უჩელინი, ეს ათის წლის გოგონა, თავის ტანის საუცხოვო მიმოხვრით, სახის მეტყველებით და დამუშავებული ხმით უზომო აღტაცებას იწვევს. მოსკოვის „აკვარიუმ“-ის თეატრში. თამაშობს მამასთან ერთად, რომელიც შესანიშნავი ტრანსფორმატორია. ანჯელიზას „პატარა დუზე“-ს უწოდებენ.

**აბა, ჰორიც ასეთი უნდა**, როგორიც მსახიობს ა. ზ. ბურაკოვსკის გაუვრცელეს, ვითომ და 50,000 მანათში ყოფილიყოს დაზღვეული. ბ-ი უკვე გარდაიცვალა და ვალების მეტი არაფერი დარჩენია. ორი კვირის წინად ბ-ი თავის ბინიდან „ერმიტაჟი“-ს ბაღში მიიჩქაროდა რეპეტეციაზე, გზაში უცებ წაიქცა და სული განუტევა. გამოიხმეს ცოლ-შვილი, მეგობრები და 13 ივლისს მიწას მიაბარეს. ბ-ი ცნობილი მსახიობი და დრამატურგი იყო. საყურადღებო ამბებს მოგვითხრობს თავის თავგადასავალში: 50 წლის განმავლობაში 15,000-ჯერ ვითამაშეო, ე. ი. წლიურად 250 წარმოდგენაში, ყოველთვის „კეთილ სინდისიერ ჯამაგირს“ ვიღებდი და, რა გგონიათ, ამ ხნის განმავლობაში სულ რავდენი ფული მივიღე? არა უმეტეს შალიაპინის 2 კონცერტისა ვიალცევის 2 კონცერტის დამატებით. რა თანხა შევიძინე?—20 სამოსამართლო ბოქაული და 100-ჯერ სახლის აღწერა. რითი დასრულდება ჩემი სასცენო მოღვაწეობა?—აი, რითი: რუსთა სათეატრო საზოგადოების ანგარიშში ამოიკითხავთ: ა. ზ. ბურაკოვსკის დასაკრძალავად, მე-3-ე ხარისხით, დაიხარჯა ამდენი და ამდენი“-ო...

მარტო ჩვენი მსახიობნი არა ყოფილან „ბედნიერ დღეში“...

**გარდაიცვალა** რუსეთის სახელგანთქმული მხატვარი. ა. ი. კუინჯი, შთამომავლობით ბერძენი, დიდძალი ფული შესწირა მხატვრობის წარმატების საქმეს და მისს სახელზე საზოგადოებაც არსებობს.

**ხალხის უყურადღებობით შეურაცხყოფილმა** მ. ვ. დალსკიმ შური იძია. ამას წინად რუსეთის ერთს მიყრუებულ ქალაქში პიესა **„ქაჯი და ადამიანი“**-ში თამაშობდა. თავმოყვარე მსახიობი მაყურებელთ პირველად ტაშის ცემით არ მიიღეს, როგორც სჩვევიათ, „სახელოვან“ მსახიობთ, მხოლოდ მესამე მოქმედებაში გამოიხმეს, მაგრამ მსახიობმა თავის დასაკვრელად გამოუშვა... თავისი ძაღლი, რომელმაც იქაურობა ყმუილით აიკლო.

**გარდაიცვალა** პოლონელი ცნობილი მოქანდაკე ანტონ პოპელი.

## უცხოეთი

**მშვენიერი ძეგლი** აუგეს სახელგანთქმულს მუსიკოსს ბეთჰოვენს,—ვენის მახლობლად ხეილიგენშტადის პარკში.

**მუსიკოსმა რ. შტრაუსმა** თავის ახალი ოპერის „სილვია და ვარსკვლავი“-ს ჰონორარად 322 ათასი ფრანკი მიიღო გამომცემლისაგან, „სალომე“-ში—62,500 ფრ., „ელექტრა“—ში—127,500 ფრ. საავტორო უფლების ძალით, „სალომე“ ყოველწლივ 80 ათას ფრ. შემოსავალს აძლევს, „შინაურმა სიმფონიამ“ „რაღაც გროშები“—44 ათასი ფრანკი მისცა. როგორც ლოტბარი, ეს გამოჩენილი მუსიკოსი წლიურად 300 ათას ფრანკამდე იღებს.

**ფრჩხილმა ათი ათასი მანათი შესძლვნა** სახელგანთქმულს პიანისტს პადერევსკის. ამას წინად პ-მ ამერიკაში ბეთჰოვენის სონატის დაკვრის დროს მარჯვენა ხელის დიდი თითის ფრჩხილი მოიტეხა. მართალია, დიდათ არ ა სტკენია, მაგრამ სხვადასხვა დამზღვევ საზოგადოებათ-კი დიდი საზღაური—10,000 მან. მისცეს. მოცეკვავე ქალის პავლოვის მზგავსად, რომელმაც თავისი ფეხები 200,000 მან. დაიზღვავა, პადერევსკიმაც დააზღვია თავისი თვალები, თითები და ფეხები.—ხელების ტკივილის გამო ექიმებმა პადერევსკის აუკრძალეს ერთ წლამდე დაკვრა.

**დიდის საიდუმლოებით იქორწინეს** მთელს ქვეყანაზე სილამაზით სახელგანთქმულმა მსახიობმა ქალმა ლინა კავალერიმა და ამერიკელმა მილიონერმხატვარმა შანლერმა. თითქო არაფერი ამბავიაო, უკანასკნელ წუთამდე შანლერი თავის ქარხანაში—ნიუ-იორკში მუშაობდა მშვიდათ, უცებ ვითომდა დასასვენებლად პარიზისკენ მოჰკურცხლა გემით და იქ ჩუმად, მხოლოდ ოთხი კაცის თანადასწრებით დაიწერა ჯვარი. ამ ჟამად ცოლ-ქმარი „თაფლის თვეთი“ სტკბება სენისა და უაზის დეპარტამენტში ერთ კოპწია ვილლაში. ლ. კავალერი მალე საგასტროლოდ აპირებს წასვლას ბუენოს-აირესში.

**ამას წინად გაასამართლეს** ანტვერპენის თეატრის რეჟისორი და მსახიობნი „მიმოხილვის“ წარმოდგენის გამო, რომელმაც ვითომდა შეურაცხჰყო საზოგადოებრივი ზნეობა. სცენაზე თამაშობის დროს, პოლიციამ დააპატიმრა მთავარი როლის აღმასრულებელი ქ-ნი კორისეტი. ბრალდებულთა სკამზე „მიმოხილვის“ ავტორიც იჯდა. საქმის გარჩევის დროს მსაჯულთა მოთხოვნილებისამებრ აღდგენილ იქმნა პიესის ის ადგილები, რომელიც შეურაცხმყოფელად იყო მიჩნეული. აგრეთვე შეასრულებინეს „სახიფათო მდგომარეობიანი“ ვალსი და წარმოათქმევინეს პიესის გადამალაშებული ადგილები. თუმცა სასამართლომ ყოველივე ეს მძიმე დანაშაულად არა სცნო, მაგრამ მაინც ბრალდებულნი გაამტყუნა: ავტორს ორი თვის ციხე მიუსაჯა, ხოლო რეჟისორსა და მსახიობთ 200 ფრ. ჯარიმა.

## დაბა-სოფლები

**ქ. თელავი.** ილიაობას—20 ივლისს—მგოსნის ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად წ. კ. ს. ადგილობრივმა განყოფილებამ გამართა სადამო. წარმოდგენილი იქმნა „ბატონი და ყმა“ მე-3-ე მოქ. მეორე განყოფილებაში ზ. ჩხიკვაძის დოტბარობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგარმა ქალ-ვაჟთა გუნდმა იმღერა ოთხი ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის ლექსთაგან. მომღერალთა შორის ყურადღება მიიპყრო კნ. ლიზიკო ყარალაშვილმა საუცხოვო ხმით. მესამე განყოფილებაში დაიდგა აპოთეოზი —თოვლით შემოსილ კავკასიონის მთაზე ამართულა მყინვარი, მაღლა მოსჩანს აჩრდილი, გამოქვაბულში ხელაპყრობილი განდეგილი, იქით მეფე დიმიტრი თავდადებული, და მის წინ ქართველი მამა ორი ახალგაზდა შვილით, რომელთაც მეფეს და სამშობლოს სწირავს, ერთს მხარეს მდგომარე დედა და შვილი, ქედზე თამარ მეფეს უჭირავს ილიას სურათი, მეორე მხარეს მუზა ქნარს უძღვნის, ხოლო ამდროს ახალგაზდა მგოსანი ბ. ახოსპირელი „განდეგილიდან“ ნაწყვეტს კითხულობს. სურათი ზეაღმტაცი იყო. საღამო ცეკვით დასრულდა. საღამოში მონაწილეობდენ, სხვათა შორის, ბ. ახოსპირელი, ი. მჭედლიშვილი, ვ. ჩხიკვაძე, მ. აჯიმამუდოვი, ჟურავსკი, ა. ვოლოხოვისა და სხვა.—დიასახლისის კნ. ან. ჭავჭავაძის თაოსნობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საღამომ წესიერად ჩაიარა. დიდძალი ხალხი დაესწრო.

**ს—ი**

**დ. ჭიათურა.** კვირას 25 ივლისს, ბარველის მონაწილეობით წარმოადგინეს ტრ. რამიშვილის ცნობილი პიესა „საბედისწერო დამბაჩა“ და ვასო ურუშაძის ვოდევილი—„რუკი ვერხ“. ვ. ბარველმა საუცხოვოთ შეასრულა რეზიკოს როლი. არა უჭირდა რა ქ-ნ. დეისაძეს ხვარამზეს როლში. მწარიშვილი (ელეფთერი) რავდენადაც I-II მოქ-ში უფერული იყო, იმდენთ მე-III-ე მოქ-ში მიმზიდველი. განსაკუთრებით—როდესაც ექიმი (ვანელი) უცხადებს, შენი შვილი იმნაირი სენით არის შეპყრობილი, რომ მისი მორჩენა ყოვლად შეუძლებელიაო,—მისმა ტირილმა და ოხვრამ, დამსწრე საზოგადოებაში ბევრი აატირა. ვოდევილმა ბევრი აცინა საზოგადოება ტიპიური იმერელი გლეხი იყო მწარიაშვილი აბესალომის როლში. როლები რომ ყველას კარგად სცოდნოდა, ანსამბლი იქნებოდა. ბ-ბო, მეტი ყურადღებით მოექეცეთ ნაკისრ როლებს.

**ა. მლაშელი**

**სოფ. ახალგორი** (დუშეთის მაზრა) 18 ივლისს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოდგენა გამართეს. ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსავალი, 60 მან., სეტყვისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაიდო.

**ლე—ქი**

**ს. ქარელი** 17 ივლ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ნ. გოცირიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა „ხანუმა“. ბევრი ხალხი დაესწრო.—შემოსავალი აბანოსა და სკოლის სასარგებლოდ გადაიდო. ამ მოკლე ხანში კიდევ აპირებენ წარმოდგენის გამართვას. **კ—ნი**

**დ. ხონი.** გასულ კვირას მხოლოდ ერთი წარმოდგენა გაიმართა, მიუხედავად ამისა ხალხი მაინც ნაკლებად დაესწრო. წარმოადგინეს 3 მოქ. დრამა „დამნაშავეა?“ და ვოდევილი „დედის ერთა“ ვ. გუნიასი. ვ. შალიკაშვილი ტომას ლეერის როლში საუცხოვო რამ იყო. მან საკმაო გრძნობით გადმოგვცა უდანაშაულოდ დასჯილი ადამიანის გრძნობები. მშვენიერი იყო აგრეთვე ნ. ჯავახიშვილიც მართას როლში, კარგი მიმიკა ჰქონდა: თვალების და სახის გამომეტყველებით გველაპარაკებოდა ყველაფერს, რასაც კი გრძნობდა გულში; მაშინ, როდესაც მის ქალიშვილს გუსტავ ბერგერი ეალერსება, მისი ბუნებრივი ქვითინ-ტირილით აღტაცებაში მოვიდა საზოგადოება. კარგი იყო აგრეთვე კარლ ლეერის როლში ნ. გვარაძე. ნ. ივლიტაშვილი ჯერ საპატიმროს დირექტორის კლუგის და შემდეგ გუსტავ ბერგერის როლში სუსტობდა: თავი თავისუფლად ვერ ეჭირა, მიმიკაც აკლდა. „დედის ერთაში“ ბევრი აცინეს საზოგადოება მოხდენილის თამაშით ვ. შალიკაშვილმა (იოთამი) და თამარა გოგოლაშვილმა (თაფლო). სუსტობდენ ნ. ივლიტაშვილი და ქუთათელაძე.

**ტეზეი**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რ-ო! თქვენი ჟურნალის 23 და 25 №-ში მოვათავსე ორი წერილი: „წარმოდგენები სოფლად“ (იხ. 23 №-რი) და „კიდევ პროვინციულ წარმოდგენებზე“ (იხ. 25 №-რი).—მეორე წერილი პირველისაგან გამომდინარეობდა. აზრი აშკარა იყო. პირველ წერილში ვაღიარებდი წარმოდგენების საჭიროებას პროვინციებში, ხაზს ვუსვამდი უვიც სცენის-მოყვარეთაგან პროვინციებში გამართულ წარმოდგენების ნაკლს. დასკვნა ჩემი პირველ წერილიდან ყოველ გონიერ მკითხველს ასეთი უნდა გამოეყვანა: პროვინციებში წარმოდგენების მმართვა კულტურული საქმეა, მხოლოდ საჭიროა, ამ წარმოდგენებს ხელმძღვანელობდენ არტისტები. მეორე წერილში ვაღიარებდი—არტისტები შიმშილობენ (აბა რომელი მოღვაწე არ შიმშილობს ჩვენში), განსაკუთრებითი-კი ხაზს ვუსვამდი ზაფხულობით მათ სისტემატიურ შიმშილს. ალვნიშნავდი ხონში საზაფხულო სეზონის მოწყობას, საქმისათვის საჭირო არტისტების ჯამაგირებით მოწვევას და დრამატიულ საზოგადოებას მივუთითებდი, ხონის მსგავსად, სხვა პროვინციებშიაც მოეწყო საზაფხულო სეზონები **საზოგადოებისა** (ამას დაუკვირდით) და მსახიობთა საკეთილდღეოდ.

ჩვენი არტისტების უმწეო და უნუგეშო მდგომარეობა ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეზედაც ალვნიშნე (იხ. ჩემი სიტყვა ქუთათურ გაზ. „ფონში“), მაგრამ ამითი არავის წყრომა არ დამიმსახურებია.—„ივერიის“ ფურცლებზედაც (იხ. 1901—2 წ.) არა ერთხელ შევხებივარ ქართველ ხალხის გულგრილობას არტისტებისადმი. მაგრამ არავის არ უთქვამს—შენი საქმე არის, ნუ სწერ არტისტებზეო! — ბ-ნი ვალ. შალიკაშვილი ჩემს წერილს გაუჯავრებია და მეპასუხება: არტისტები არ საჭიროებენ შენს სანტიმენტალურ თანაგრძნობასო“.

მე საზოგადო საკითხს შევეხე და, თუ ამის უფლება არ მქონდა, ეს კი არ ვიცოდი.

მე არ გკადრებთ „არ მეტკინა—მეწყინა!“-ო. კარგი არტისტი ხართ, ნიჭიერი ყმაწვილი, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩემზე უმართლოდ გაჯავრებული.

**ილია ბახტაძე**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადნეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

# ქარხანა
# მ. ლაღიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411.

# ჩვენი ქარხნის წყალი

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ „ვაკუმის“ მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით

მუშტარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის

# წყალი

**მშვენიერის გემოსი და სუნნელებისაა,**

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

მისი კარგი ღირსება დაჯილდოებულია

ამიტომაც ჯანმრთელობის გულისათვის ეს ქარხანა ურჩევს ბბ. მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ, რადგან ზოგიერთი ვაჭრები ჩვენის სახელით სხვა ქარხნების უფრო იაფსა და მიმსგავსებულ წყალს ასაღებენ.

მოითხოვეთ ყველგან **მ. ლაღიძის** და ამხანაგობის **წყალი**

**და ამასთან მიაქციეთ ყურადღება**

## თავსაცობი ჩვენი ქარხნის ბეჭდით

ქარხანა ხილეული წყლით **ორჩინებულ თვისებისათვის** დაჯილდოებულია ოქროს და ვერცხლის დიდი მენდლით

10--7

კვირას 1 აგვისტოს
ქართულს საზაფხულო თეატრში

გაიმართება შესანიშნავი ფრანგული

# ჭიდაობა



ცნობილი მოჭიდავის ეიჟენის ხელმძღვანელობით. ჩამოსულია 20 მოჭიდავე ფალავანი.
კვირას იჭიდავებენ ხუთი წყვილი ფალავანი. ადგილების ფასი 30 კ.—2 მან.

ყველასათვის ხელმისაწდომია
ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს.

# НОВАЯ РѢЧЬ

Ежедн. общ. полит. литературная газета На годъ 7 руб., 1/2 года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул. д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь». Ред. **Р. Д. Бебіевъ.** Издат. **П. А. Готуа**

# ЗАКАВКАЗЬЕ

Ежедневное изданіе. За годъ въ Тифлисѣ 6 руб. полгода 3 р. 50 к., въ другіе города—8 руб.,—4 руб. 50 к. — Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова: Ред-изд. Кн. **Г. I. Амираджиби.**

# ახალი გზა

**ყოველდღ. საპოლიტიკ სალიტერ.** გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. საზღვარგარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. **ზ. ტყეშელაშვილი** ადრესი: Тифлисъ, тип., «Шрома», **Кал. Кон. Цуладзе.**

# სახალ. გაზ.

**ყოველ-დღ. საპოლიტ. სალიტერატ.** გამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა** ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Сем. Пашалашвили.

# ჯეჯილი

საყმაწვილო **სურათებიანი ჟურნ.** XXI. წ. წლიურად 4 მ. თითო წიგ. 40 კ. რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.- წერეთლისა



ამალია და კარლოსი
(შილლერის „ყაჩაღები“-დან“)

განყოფილება „პროგრესის“ სტამბისა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლში